ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2021 №247 (8776) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

მოსამართლეთა ნაწილი საქართველოს პარლამენტისგან განმარტებებს ითხოვს

ლონდა თოლორაია 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორი აღარ იქნება

რა წერია პროექტში

გვ.5

„ოცნება“ სახელმწიფო ინსპექტორს სააკაშვილის გამო მიადგა“

გვ.2

გიორგი მშვენიერაძე: „ვნახოთ, იქნება თუ არა თამამი პრეზიდენტი და გამოიყენებს თუ არა ვეტოს“

გვ.4

ნიკა გვარამია: „ეჭიმმა ნინო გოგორიშვილმა სააკაშვილის სიკვდილს მოაწერა ხელი. ახლა თავად ადამიანურად განადგურებულია“

გვ.3

„კალაძემ გადაწყვიტა, თბილისელები ბოლომდე გაძარცვოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „დარწმუნებული ვარ, ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, „ქართული ოცნება“ კი ხელისუფლებაში აღარ იქნება“

„ოცნება“ და ნაცები შერიგებულიც არიან და ერთმანეთში არეულიც“

გვ.4

მამუკა ტუსკაძე: „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის საგამოძიებო ფუნქციის ჩამოცილება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ერთ-ერთი უდიდესი ოცნებაა, ჩემი პრემიერმინისტრობის დროს, სხვა გეგმებთან ერთად, სიღარიბე დავამარცხოთ“

გვ.2

გვ.3

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება გაუგებარია“

სოსო შატბერაშვილი: „ჩვენ სააკაშვილის გამოშვება კი არა, პოლარიზაციის შემცირება გვინდა“

ISSN 1987-9385

3 ზ.კ. მართვის მოწმობისთვის ფულს ილებდა, მაგრამ მართვის მოწმობას არ იძლეოდა

5 ნიკო კვარაცხელიას ოჯახი: „ჭელიძე და კაველაძე ვისი მფარველობის ქვეშ არიან, თავს ყველაფრის უფლებას რომ აძლევენ?!“

5 ორსული ცოლის მკვლელობაში ბრალდებულ გოგა გზირიშვილს ექსპერტიზა ჩაუტარდება

6 საფრანგეთში იხურება ღამის კლუბები, პირბადეები სავალდებულო ხდება

„ოცნება“ სახელმწიფო ინსპექტორს სააკაშვილის გამო მიადგა“

გიორგი მშვენიერაძე: „ვნახოთ, იქნება თუ არა თამამი პრეზიდენტი და გამოიყენებს თუ არა ვეტოს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნება“ ამჯერად სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტს მიადგა. მმართველ გუნდს, როგორც ჩანს, არ მოეწონა უწყების მხრიდან დაწყებული გამოძიებები და კრიტიკული პოზიციები. ხელისუფლებამ ინსტიტუციის განვითარება დაასახელა რეორგანიზაციის მიზნად, თუმცა ყველას ესმის, რომ ეს მხოლოდ ბუტაფორიაა.

ამ ფაქტის გამო ხელისუფლებამ ყველას კრიტიკა დაიმსახურა – ოპოზიციის, მედიის, საერთაშორისო პარტნიორებისა თუ სამოქალაქო სექტორის. უფრო მეტიც, მკვეთრი განცხადება ჰქონდა პრეზიდენტსაც.

რატომ მიადგა სახელმწიფო ინსტიტუტს და ვინ იქნება შემდეგი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **გიორგი მშვენიერაძე** საუბრობს.

– თქვენ როგორ აფასებთ „ოცნების“ გადაწყვეტილებას სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტთან მიმართებით და როგორ ფიქრობთ, რატომ ახლა, როცა პოლარიზაციის მაღალი დონეა და პრეზიდენტმა რაღაც პროცესი დაიწყო?

– ცალსახაა, რომ ეს დაკავშირებულია სააკაშვილის წინააღმდეგ ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე დაწყებულ გამოძიებასთან. ეს ინსტიტუტი ძალიან ეფექტიანად მუშაობდა ზოგადად და მათ შორის ამ საქმეზეც ბევრი გამოძიება აქვს ჩატარებული. ცხადია, ეს იქნება ხელისუფლებისთვის ძალიან მძიმე. ამიტომაც უნდა, რომ ხელი შეუშალოს ამ პროცესს.

ლონდა თოლორაიაა ამ უწყების ხელმძღვანელი და ერთგვარ გარანტიას ქმნის მისი პრინციპულობა. ასევე გახსოვთ, რომ მას ძალიან სწორი პოზიციები ჰქონდა ვიდეოჩანაწერებთან, როგორც სააკაშვილის ეპიზოდთან, ისე სახალხო დამცველის ოფისთან დაკავშირებით. მისი არსებობა ხელისუფლებას პრობლემას უქმნის, ამიტომ გადაწყვიტეს ასე. ჩვენ თავის დროზე ვიყავით ჩართული ამ პროცესში, როდესაც ეს სამსახური იქმნებოდა და ვეწინააღმდეგებოდით ამ ფორმით ჩამოყალიბებას, ვითხოვდით ორ უწყებას, მაგრამ მაშინ ეს არ გააკეთეს, ახლა კი, როდესაც საფრთხე იგრძნეს, მოინდომეს გამიჯვნა და მათ შორის სურთ, დაემუქრონ თანამშრომლებს.

– თავის დროზე ხომ არ ეგონათ, რომ ისინი მართავდნენ სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტსაც, ვინაიდან ლონდა თოლორაია მანამდე მუშაობდა შსს-ში, იქამდე იყო პროკურატურაშიც და იმედი ხომ არ გაუცრუვდათ?

– დიახ, ნახეთ, როგორ არის? კობახიძე ხშირად აცხადებს, რომ არ სურთ, არც ერთი ინსტიტუცია პარტიული კონტროლის ქვეშ არ იყოს. ხშირად წუხან სახალხო დამცველის გამო და ასევე წუხან ამ ინსტიტუტთან დაკავშირებითაც. მათ უნდოდათ, რომ ფორმალურად ყოფილიყო დამოუკიდებელი, როგორც არსებობს სასამართლო, მაგრამ ლონდა თოლორაია კერკეტი კაკალი გამოდგა მათთვის და ვერ გატეხეს. ახლა კი უნდათ, რომ მათი გადმოსახედიდან ჩქარა მოაგვარონ ეს საკითხი. ეს შეუთავსებელია კანონის უზენაესობასთანაც და დემოკრატიულ პროცესთანაც.

– ეს პროცესი წამოიწყეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები შვებულებაში არიან და ხალხი საახალწლო სამზადისზეა გადართული. შემთხვევითია ეს და ისევ აღელვებთ საერთაშორისო იმიჯი?

– ეს არის მათი ერთ-ერთი ხელწერა. გაგახსენებთ, 2018 წლის ბოლოს როგორ დაასახელეს უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატები. ეს ადრეც გაუკეთებიათ, რადგან იციან, რომ შვებულებაში არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მათთვის, დასავლეთისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია დღესასწაულის თვალსაზრისით, თუმცა პოსტფაქტუმ კრიტიკას მაინც ვერსად ვერ გაექცევიან. ახლაც ვნახეთ კრიტიკა, მაგრამ მთავარია ის, რომ მათ უკვე ნაკლებად აინტერესებთ, რას ფიქრობს დასავლეთის საზოგადოება, იმიტომ, რომ ის ვალდებულებები, რომლებიც აღებული გვაქვს ასოცირების ხელშეკრულებითა თუ სხვა დოკუმენტებით, აღარ არის ფართო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ხელისუფლება მზად არის, გაწიროს ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანი, ყოველ შემთხვევაში, გეზი ამ მიმართულებით, ოღონდ შეინარჩუნოს ძალაუფლება. ეგ არის არსებული რეალობა.

– ამ ვითარებაში გამოსავალს რაში ხედავთ? ეს ხომ მხოლოდ ერთი საკითხი არ არის. თუ გაუვათ, ალბათ სხვა ინსტიტუციასაც მიადგებიან. სადამდე შეიძლება გაგრძელდეს?

– დიახ, პოზიტიური მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რომ ინსტიტუცია, რომელიც ფუნქციონირებს სწორად და დემოკრატიის შენარჩუნებას ცდილობს ქვეყანაში, არ იქნება მორიგი მსხვერპლი. შემდეგი ასეთი მსხვერპლი შეიძლება იყოს კრიტიკული მედია, კიდევ უფრო მეტი დარტყმის წინაშე აღმოჩნდეს ის, ვიდრე აქამდე იყო. შეიძლება იყოს არასამთავრობო სექტორი.

– სახალხო დამცველსაც ხომ არ მიადგებიან?

– ბუნებრივად აკვირდებიან. გადაჭრით რამის თქმა ძნელია, თუმცა, როგორც იცით, მომავალი წლის დეკემბერში გასდის ნინო ლომჯარიას ვადა და ცხადია, მათი მცდელობა იქნება, მომავალში ისეთ სახალხო დამცველზე იფიქრონ, რომელიც მათი პოლიტიკური მორჩილების პირობებში იქნება. ეს ნათლად ჩანს. იმედი მაქვს, მანამდე რაღაც გარკვეული ცვლილებები მოხდება ქვეყანაში და პროცესები მეტ-ნაკლებად დაუბრუნდება ნორმალურ ჩარჩოს ან გეზი იქნება ამ მიმართულებით.

– პრეზიდენტისგან თუ ელოდით ასეთ მკვეთრ პოზიციას?

– ბოლო პერიოდში ვხედავთ, რომ პრეზიდენტი ცდილობს, ერთგვარი მედიატორის როლი ითამაშოს საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, ის გამოხატავს პოზიციას და ესმის, როგორი მნიშვნელოვანია რეფორმები. იმ ლოგიკით, რომლითაც პოზიციონირებს ბოლო პერიოდში პრეზიდენტი, ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღებული პოლიტიკა არ ჯდება და ცხადია, მისი პოზიციაც იყო ამის მაგალითი, მაგრამ ვნახოთ, დაადებს თუ არა ვეტოს კანონპროექტს და გამოიყენებს თუ არა ამ ფუნქციას. 3 წელი გავიდა, რაც პრეზიდენტია და ფაქტობრივად არ გვინახავს ეს ფუნქცია გამოყენებული. ვნახოთ, შეუძლია თუ არა, უფრო თამამი იყოს – ესეც არის კითხვა. თუ მართლა სურს დემოკრატიის დაცვა ქვეყანაში, მაშინ მხოლოდ განცხადება არ არის საკმარისი. ეს ერთგვარი გამოცდაც იქნება მისთვის მისი ბოლო განცხადებების ფონზე.

– კი, ვეტო მნიშვნელოვანია, თუმცა მის ვეტოს ალბათ დაძლევენ და აქვს მას პრაქტიკული მნიშვნელობა?

– ვეტოს დაძლევა ერთი საკითხია, მაგრამ მთავარია, როდესაც ვეტოს იყენებ, მას პოლიტიკური ფასი ჰქონდეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ერთ-ერთი უდიდესი ოცნებაა, ჩემი პრემიერმინისტრობის დროს, სხვა გეგმებთან ერთად, სიღარიბე დავამარცხოთ“

– მთავარი პრობლემა დღეს ქვეყანაში, გარდა იმ პრობლემებისა, როგორიც არის ოკუპაცია და სხვა, არის უმუშევრობა, დასაქმება და, ბუნებრივია, სიღარიბე,

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ახალი სოციალური პროგრამა უმუშევრობის კუთხით ვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს და შეცვლის განწყობას.

– ეს რომ გაიშლება მთელი ქვეყნის მასშტაბით, აბსოლუტურად სხვა დინამიკა იქნება, სხვა პოზიტივი შემოვა და ქვეყანაში სხვა პროცესი დაიწყება. ეს პირდაპირ ურტყამს სიღარიბეს. არ მინდა, გავუსწრო პროცესებს, მაგრამ წინასწარი გათვლებით, ჩვენ დაახლოებით 100 მილიონი ლარის გამოყოფა მოგვიწევს პირველ ეტაპზე და შემდეგ ამას გავზრდით, ბუნებრივია, იმისთვის, რომ ამ ადამიანებს ღირსეული ხელფასიც გადავუხადოთ და სიღარიბეს, ამ სენს, ამ მტერს მიზნობრივად დავარტყათ.

მე ვიტყოდი პირდაპირ, ჩემი ერთ-ერთი უდიდესი ოცნებაა, ჩემი პრემიერმინისტრობის დროს, ამ პერიოდში, სხვა გეგმებთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი ოცნება მაქვს, რომ სიღარიბე დავამარცხო ჩემს გუნდთან ერთად. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნება, რომელიც მაქვს. ჩვენ ამ პროცესს რომ დავიწყებთ, შემდეგ გაჩვენებთ დინამიკას და ჩვენი მოსახლეობა ამას ნახავს. შევქმნით სამუშაო ადგილებს, ამ ხალხს ვასწავლით ძალიან ბევრ რამეს, აქვე ჩავრთავთ პროფესიულ განათლებას, ყველა მუნიციპალიტეტში, რა თქმა უნდა, სურვილისამებრ ყველა ადამიანს გადავამზადებთ, გავუკეთებთ პროგრამებს და ა.შ. – აღნიშნა პრემიერმა „იმედის“ ეთერში.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველა საჯარო მოხელეს გაეზრდება ხელფასი და ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი.

– ყველა საჯარო მოხელეს მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო, იმიტომ, რომ ისინი ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას და სამწუხაროა, რომ ბოლო წლების განმავლობაში არ გაზრდილა მათი ხელფასები, რაც პრობლემაა. ჩვენ გავზარდეთ პენსიები. პენსია გახდება 270 ლარი მინიმუმ. 2022-ში იქნება 300 და 330 ლარი. ყველა საჯარო მოხელეს ხელფასი გაეზრდება, მათ შორის, პოლიციელებს, ჯარისკაცებს, პედაგოგებს, ექიმებს და გვინდა, რომ ეს პროცესი შევინარჩუნოთ. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი. ჩემი დავალებით ვმუშაობთ ამ გეგმაზე და უახლოეს პერიოდში წარმოვადგენთ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა წყალმომარაგების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს მოსახლეობის პრობლემაა, რომლის გადაჭრა მთავრობის საზრუნავია.

– იმის ნაცვლად, რომ ჩვენმა ოპონენტებმა ამაზე ილაპარაკონ, როგორ გადავჭრათ ეს პრობლემები დროულად, 3 ათას სოფელს დღეს არ მიეწოდება ხარისხიანი სასმელი წყალი. ეს ხომ პრობლემაა? ეს ჩვენი მოსახლეობის პრობლემაა. ამიტომ, მე, როგორც პრემიერ-მინისტრს და ჩვენ, მთავრობას, გვაქვს უამრავი საზრუნავი და საფიქრალი. ეს არის კონკრეტული პრობლემები და მათი გამოსავლისა და გადაჭრის გზები, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, 600.000 სოციალურად დაუცველი ადამიანი გვყავს და სახელმწიფო მათ უხდის სოციალურ დახმარებას იმისთვის, რომ არ იმუშაონ, ეს კი დანაშაულია.

თითქმის 300.000 შრომისუნარიანი ადამიანი დღეს არის პრაქტიკულად ხელბორკილდადებული.

– მინდა, რომ შევცვალო სოციალური პოლიტიკა – ეს არის ჩემი ამბიცია, გეგმა, ოცნებაც დაარქვით. ის მანკიერი სოციალური პოლიტიკა, რომელმაც თავისი თავი უკვე ამოწურა... თითქმის 300.000 შრომისუნარიანი ადამიანი დღეს არის პრაქტიკულად ხელბორკილდადებული. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ არ იმუშაოთ, შეეგუეთ სიღარიბეს და იცხოვრეთ მუდმივად სიღარიბეში.

ეს არის კატასტროფა და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ამიტომ არის საშინელი დეპრესია, ნიჰილიზმი, უპერსპექტივობის განცდა ამ ადამიანებში. 600.000 სოციალურად დაუცველი ადამიანი გვყავს და სახელმწიფო მათ უხდის სოციალურ დახმარებას, რატომ? იმისთვის, რომ არ იმუშა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძემ გადაწყვიტა, თბილისელები ბოლომდე გაძარცვოს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „დარწმუნებული ვარ, ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, „ქართული ოცნება“ კი ხელისუფლებაში აღარ იქნება“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, წლის მიწურულს როგორ შეაფასებთ ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებს, საზოგადოებისთვის რამდენად რთული წელი იყო?

– უმძიმესი წელი იყო ყველა თვალსაზრისით, როგორც პოლიტიკურად, ისე ჯანმრთელობის მხრივ. ურთულესი წელი იყო ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, რომელთა სოციალურ პრობლემას თან დაერთო კოვიდი. დაუნდობელი კოვიდგენოციდი მოგვიწყვეს. ამ ხელისუფლებამ ვერ მართა ეპიდემია. ვერ მართა არ მხოლოდ არაკვალიფიციურობის გამო, არამედ, კორუფციული ინტერესებიდან გამომდინარეც.

მსოფლიოში სიკვდილიანობის მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვართ. საქართველოში 13 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ ინფექციას. რეკორდსმენები ვართ მსოფლიოს მასშტაბით დაღუპულთა და დაავადებულთა რაოდენობით. ეს პირდაპირ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა ივანიშვილის მთავრობის. ამიტომ ჩვენ მივმართეთ ჰააგის სასამართლოს და საქმე წარმოებაშია მიღებული.

მთავარი დანაშაული იყო და არის ის, რომ ხელისუფლებამ სრულიად შეგნებულად არ აწარმოა ვაქცინაციის მხარდამჭერი საინფორმაციო კამპანია. 30%-იანი მაჩვენებელი არის კატასტროფული შედეგი. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო გვეხმარებოდა ვაქცინების მიღებაში, სათანადო კამპანიის არწარმოების გამო ვაქცინები ლამის გაფუჭდა.

აშკარაა, რომ ღია ანტივაქსერობით გამოირჩევა ხელისუფლება. ეს ჩანს მათსავე განცხადებებსა თუ ქმედებებში. პრემიერი ძალიან გვიან აიცრა, ჯანდაცვის მინისტრი საერთოდ მხოლოდ ერთხელ არის აცრილი. მეტიც, ანტივაქსერების ლამის წახალისება ხდება, ვერ გეტყვით, უნებლიეთ თუ მიზანმიმართულად, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება. ერთ-ერთი ცნობილი ანტივაქსერი მომღერალი, ირაკლი ფირცხალავა, ფოთში საახალწლო ღონისძიებაზე იმღერებს.

იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან თითოეულ პასუხისმგებელ პირს მოეთხოვება ამ ყველაფერზე პასუხი, მათ შორის იმაზე, რაც ტიკარაძემ გვითხრა, რომელიც ასევე თანამონაწილეა ამ დანაშაულის, რომ ადამიანების უდიდესი უმრავლესობა გარდაიცვალა არა უშუალოდ კოვიდინფექციით, არამედ ჰოსპიტალურ სექტორში დაუცველი პირობებით.

– საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაძვირების პაკეტი, რამდენად შესაძლებელია, უკან გაიწვიოს მერიამ?

– მას შემდეგ, რაც არჩევნები მიიტაცეს, კახა კალაძემ გადაწყვიტა, ბოლომდე გაძარცვოს თბილისელები. ეს არის ძალაუფლების ბოროტად, დაუნდობლად სარგებლობა. ეს არის კორუფციის ზეიმი, ქვეყნის დაუნდობელი ძარცვა. მაშინ, როდესაც ხალხი ქუჩაში პირდაპირი მნიშვნელობით იყინება და ეს შემთხვევა იყო რამდენიმე დღის წინ, ვხედავთ, როგორ ზრდიან ბიუჯეტს თავიანთი ხელფასებისა და ავტოპარკის განახლებისთვის.

რაც შეეხება მგზავრობის ფასის გაზრდას, კალაძე უტიფრად გვატყუებს, როდესაც ამბობს, რომ არ გაძვირებულა. 50 თეთრი თუ ღირდა მგზავრობა, ახლა მოგვიწევს ერთი ლარის გადახდა. რაც შეეხება 250-ლარიან აბონემენტს, არა მგონია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრმა შეძლოს ამ აბონემენტის შეძენა. დაგვცინეს და გვითხრეს, სესხი აიღეთ და ისე შეიძინეთო. პირადად მე ვარ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელი. დიახ, ახლა ერთ გზაში ერთი ლარის გადახდა მომიწევს 50 თეთრის ნაცვლად. მითხარით, თუ ეს გაძვირება არ არის, აბა, რა არის?! თუ გვინდა ამ რეალობის შეცვლა და გვინდა, 50 თეთრი გადავიხადოთ მგზავრობაში, მაშინ ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და ეს გავაპროტესტოთ. 9 იანვარს ვმართავთ მერიასთან საპროტესტო აქციას. არ შეიძლება, ჩვენს ხარჯზე ჩინოვნიკები მდიდრდებოდნენ, ხელფასებსა და პრემიებს იორმაგებდნენ.

ამ შემთხვევაში გამოსავალს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლაში ვხედავ. შეუძლებელია ასე გაგრძელება.

– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ 2024 წლამდე არავითარი არჩევნები არ იქნება და ოპოზიციას მოუწევს ამ რეალობასთან შეგუება.

– არათუ ოპოზიცია, ხალხი არ შეეგუება ამ რეალობას. დარწმუნებული ვარ, ვადამდელი არჩევნები იქნება და არც კობახიძე და არც „ქართული ოცნების“ არც ერთი წევრი არ იქნება ხელისუფლებაში. ვადამდელი არჩევნები დაინიშნება და ამ ქვეყანას კოალიციური მთავრობა ეყოლება, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეების მთავრობა იქნება და არა ერთი ადამიანის, როგორც აქამდე იყო. ჩვენ ამ რეალობას უნდა მივაღწიოთ. მართალია, დიდი ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ ეს უნდა შევძლოთ, თუ გვინდა ჩვენი სახელმწიფოს მომავლის გადარჩენა.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება გაუგებარია“

სოსო შატბერაშვილი: „ჩვენ სააკაშვილის გამოშვება კი არა, პოლარიზაციის შემცირება გვინდა“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პროცესებსა და 2021 წლის მთავარ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების ინიციატივას გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც კი გამოეხმაურა. ამას ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რისთვის დასჭირდა ეს ხელისუფლებას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება ჩემთვის სრულად გაუგებარია, თანაც, ამ საკითხის განხილვა დაჩქარებული წესით ხდება. პარლამენტს ბევრი საჭირო კანონპროექტი თაროზე აქვს შემოდებული და ამ დროს საჩქარო წესით განიხილავს ამ სამსახურის თითქოს გადაკეთების, სინამდვილეში კი ლიკვიდაციის თემას. ჩემი დაკვირვებით, ამ სამსახურს არაფერი ისეთი არ გაუკეთებია, რომ მასზე შური ეძიათ. სამსახურის უფროსი ლაპარაკობს შურისძიებაზე. პრემიერმა განაცხადა, რომ თუ ეს ადამიანი კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს, მას სხვა ადგილს გამოუძებნიან. ისიც არ მესმის, რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. ჯერ ხომ არ იციან, იღებს თუ არა ის კონკურსში მონაწილეობას! საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამადიდებელი შუშით აკვირდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები. აშშ-ის ელჩმაც აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა ან უნდა შეჩერდეს, ან დაჩქარებულად მაინც არ განიხილებოდეს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებადამცველი ორგანიზაციაა, რომელსაც ევალება ზრუნვა ადამიანის პირადი მონაცემების ხელშეუხებლობაზე. მოხდა ისეთი რამ, რამაც გამოიწვია ხმაური უბრალო ინსტიტუციის გამო.

– „ეროვნული თანხმობის“ პროცესზე რას იტყვით?

– ვესწრებოდი პირველ შეხვედრას, სადაც პრეზიდენტმა ამის შესახებ გამოაცხადა. მადლობელი ვარ სალომე ზურაბიშვილისა, რომ იმ შეხვედრა-მიღებაზე მიმიწვია. ჩემმა იქ გამოჩენამ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ჩვენი პარტიის მომხრეებში, საზოგადოების ნაწილში. არის ზარები, კომენტარები, საუბრები პირადი შეხვედრების დროს. დღემდე მიხდება განმარტებების გაკეთება და იმის ახსნა, რომ ჩვენს პარტიას, „მემარცხენე ალიანსს“, სააკაშვილის გამოშვება კი არა, პოლარიზაციის შემცირება გვინდა.

– „ეროვნული თანხმობის“ მიზანს ამაში ხედავთ?

– დიახ. არსად არ გვითქვამს, რომ სააკაშვილის გათავისუფლების მომხრეები ვართ. ქვეყანაში არის პოლარიზაცია და ის უნდა შენელდეს. ამიტომ, პრეზიდენტის ინიციატივა სწორია. ჩვენ არ მოგვეწონა ისიც, რომ გამოუშვეს ოქრუაშვილი, რურუა და უგულავა, შემდეგ კი – მელიაც. არც ის გვინდა, რომ ფსიქიკური აშლილობის საბაბით სასჯელი არ მოახდევინონ სააკაშვილს. იმ შეხვედრის მეორე ნაწილი არაფორმალური იყო. მე „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებთან ერთად ვიდექი. სალომე ზურაბიშვილი მოგვიახლოვდა და დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ვისაუბრეთ. ჩემი პირველი შეკითხვა სწორედ ეს იყო – ხომ არ არის მოსალოდნელი სააკაშვილის გათავისუფლება? პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მის შეწყალებას არ აპირებს. მაშინ მან ისიც თქვა, პროცესს შერიგებას ნუ დავარქმევთ, „ეროვნული თანხმობა“ ვუწოდოთო. პოლარიზაციამ წალეკა ყველაფერი. ტოკშოუებში ერთმანეთზე ხელით იწევენ, ჭიქებს ესვრიან, იგინებიან. წამყვანები ამას აღფრთოვანებული ხვდებიან და გადაცემების მონაწილეებს აქეზებენ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ დეპოლარიზაციისთვის.

– ბევრი საუბრობს პოლიტიკურ ამნისტიაზე.

– ნაციონალური მოძრაობა „ეროვნულ თანხმობასაც“ სააკაშვილის გათავისუფლებას უკავშირებს. მისთვისაა მისაღები დიდი პოლიტიკური ამნისტია. ჩვენ პოლიტიკური ამნისტია კი არა, ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის პოლიტიკური შეფასება გვინდა. უნდა მიეცეს შეფასება ნაციონალური მოძრაობის ბოლო 18-წლიან „მოღვაწეობას“. ასევე მოვითხოვთ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების ბოლომდე მიყვანას. ჩამოსული რომ იყო, დაიბარეს. მერე ალასანია გაქრა. ეს საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

– თქვენი დაკვირვებით, „თანხმობის“ პროცესის დაწყების შემდეგ პოლარიზაცია შემცირდა?

– ჩემი აზრით, ოდნავ შენელდა. ნაციონალურ მოძრაობას ამაში წვლილი არ მიუძღვის. ამ პარტიის მიზანია სააკაშვილის დირექტივების შესრულება და დაძაბულობის ზრდა. 21 დეკემბერს მოხდა გაუგონარი მოვლენა. სააკაშვილმა თავის დაბადების დღეზე მომხრეებს აქციის გამართვისკენ მოუწოდა. დაბადების დღეებზე სხვები სუფრებს შლიან. სააკაშვილმა ამის მაგივრად სტუმრებს შიმშილობა უბრძანა. ასეთი რამ არ გამიგია.

– 2021 წელს მოკლედ როგორ შეაფასებთ?

– დავიწყებ პანდემიით, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს პატარა საქართველოს. საუბედუროდ, კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა ისევ მაღალია და ხშირად დღეღამეში 80-ს უახლოვდება. წელს დადებითი ის იყო, რომ რამდენიმენაირი ვაქცინა გვქონდა. დამაიმედებელი ინფორმაციაა აბების გამოჩენა ამ დაავადების წინააღმდეგ. აშშ-ის სურსათის სააგენტომ ეს პრეპარატი დაამტკიცა. მართალია, ის ძვირია, მაგრამ, ალბათ, გაიაფდება. სააკაშვილის პატიმრობა არ მახარებს, მაგრამ აღსრულდა კანონი და ამ კუთხით მისი დაპატიმრება წლის პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია. რომ იცოდეთ, რამდენი დაზარალებული ელოდა ამ წუთს! თუ რაღაც საბაბით ის გამოუშვეს, ჩავთვლი, რომ სახელმწიფო არ გვქონია.

– ბევრი საუბარია მის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანაზე.

– ესეც არ მიგვაჩნია სწორად. თუ საჭიროა, უცხოელი ექიმები აქ ჩამოიყვანონ. წლევანდელი წლის მოვლენებიდან ასევე გამოვყოფ ადგილობრივ არჩევნებს. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს პანდემიაც ჩაცხრება და პოლიტიკური პოლარიზაციაც შენელდება. ვიმედოვნებ, რომ ბოლო მოეღება პოლიტიკურ სანახაობებს, სადაც ცემა-ტყეპა და გინებაა. ზოგიერთ ადამიანს ეს პოლიტიკური ტელესანახაობები ყელში ამოუვიდა და ამ გადაცემებს არ უყურებს, ზოგისთვის კი სანახაობა მთავარია. მინდა, თქვენი პოპულარული გაზეთის ძვირფას მკითველს, ასევე თქვენი გაზეთის რედაქციას მივულოცო დამდეგი ახალი წელი და შობა. საქართველოს ვუსურვებ პანდემიის დამარცხებას, სტაბილურობას, ევროპისა და ნატოსკენ სვლას, სიღარიბის დაძლევასა და უმუშევრობის შემცირებას.

ზ.კ. მართვის მოწმობისთვის ფულს იღებდა, მაგრამ მართვის მოწმობას არ იძლეოდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

უწყების ცნობით, დაკავებული ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული მოქალაქეა. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული ზ.კ. დაიკავეს. მას ბრალად ედება თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა მობილურ საკომუნიკაციო აპლიკაცია „ტელეგრამში“ შექმნა არხი (ჯგუფი), სახელწოდებით – „მოდგოვჯი ინფო“. იგი თავადვე უწევდა ადმინისტრირებას აღნიშნულ არხს, რომელიც დაინტერესებულ პირებს, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, მართვის მოწმობის არაკანონიერი გზით შეძენას სთავაზობდა. ზ.კ. დაინტერესებულ მოქალაქეებს ერთ-ერთი უცხოური ელექტრონული საფულის და ქართული ონლაინტოტალიზატორის ანგარიშზე ვითომდა მომსახურების საფასურს – გარკვეულ თანხებს არიცხვინებდა და მათ კუთვნილ თანხებს თაღლითური გზით ეუფლებოდა, თუმცა მართვის მოწმობებს არ უმზადებდა.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, რაც გულისხმობს თაღლითობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოცნება“ და ნაცები შერიგებულიც არიან და ერთმანეთში არეულიც“

მამუკა ტუსკაძე: „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის საგამოძიებო ფუნქციის ჩამოცილება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაყოფა ხდება. ამ სამსახურს ჩამოშორდება გამოძიების ფუნქცია. ამის თაობაზე პარლამენტში კანონპროექტი დაინიცირდა, რომელსაც ხელისუფლების ოპონენტების კრიტიკა მოჰყვა. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროექტს? რა დადებითს და უარყოფითს ხედავთ?

– უარყოფითს, ალბათ, დრო გვიჩვენებს. საგამოძიებო ფუნქციის ჩამოცილება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

– რატომ?

– რეალურად, მთელ მსოფლიოში, წარმატებულ ქვეყნებში საგამოძიებო სამსახური ცალკე სუბიექტადაა ჩამოყალიბებული. ჩვენ შემთხვევაში ამ ახალი კანონპროექტით შეიქმნება ახალი ძლიერი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო სამსახური. ეს გამოიწვევს პროკურატურის მეტ თავისუფლებას. პროკურატურის ფუნქციების მეტ განხორციელებას.

– როგორ?

– აქამდე პროკურატურას შეთავსებული ჰქონდა საგამოძიები ფუნქციებიც და გამომძიებელი, ანუ შს სამინისტრო პროკურატურის გარეშე საკუთარ ნაბიჯს ვერ დგამდა. შესაბამისად, თუ ერთი ძლიერი საგამოძიებო სამსახური გვექნება, რომელშიც გაერთიანდება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, იუსტიციის საგამოძიებო სამსახური, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახური, შს სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და ერთ ძლიერ საგამოძიებო სამსახურს მივიღებთ, რომელიც პარალელურ რეჟიმში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებითაც იმუშავებს.

ანუ, თუ გამოძიება რაღაცას დაარღვევს, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვაც ერთად უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენთან სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული. ამიტომ ამ უწყებას სახალხო დამცველის აპარატი გააკონტროლებს.

– ითქვა, რომ თვითონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ორ დამოუკიდებელ სამსახურად იყოფა. ერთი იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის სამსახური, ხოლო მეორე – ამ კუთხით მომხდარი დარღვევების გამოძიების სამსახური. ეს სამსახურიც ერთიან საგამოძიებო სამსახურში გაერთიანდება?

– დიახ. ცალკეულ სახელმწიფო სტრუქტურებში გაბნეული საგამოძიებო სამსახურები გაერთიანდება ახალ საგამოძიებო სამსახურში. არავინ ამბობს, რომ პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი პროკურატურის შესახებ, ცვლილებები ამ კანონში. ამით პროკურატურას აძლევენ მეტ თავისუფლებას, მეტ დამოუკიდებლობას, აწარმოოს საგამოძიებო საქმიანობის საპროკურორო ზედამხედველობა, თავისი ფუნქცია შეასრულოს.

– აქამდეც ხომ ახდენდა გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობას?

– დიახ, მაგრამ პროკურატურას ასევე გამოძიების უფლებაც ჰქონდა. შესაბამისად, ხომ ხედებით, პროკურატურა თავის გამოძიებულ საქმეზე ზედამხედველობას რა ფორმით განახორციელებდა – ნებისმიერ თავის გამოძიებულ საქმეზე პროკურატურა დადებით დასკვნას დებდა, რაც ბუნებრივია.

ძალიან მაგარი უნდა იყოს, რომ თავისი სამსახურის გამოძიებულ საქმეზე, ზემდგომმა პროკურორმა ქვემდგომ გამომძიებელ-პროკურორს შენიშვნა მისცეს. ამიტომ ჩვენ ახლა პროკურატურის ზედამხედველობის ხარისხს კანონით გავამყარებთ – პროკურატურას მხოლოდ ზედამხედველობის ფუნქცია ექნება და სხვა სამსახურის მიერ გამოძიებულ საქმეზე პროკურატურა უფრო მეტ ობიექტურობას გამოიჩენს.

– ანუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქამდე ჰქონდა გამოძიების ფუნქციაც და ახლა კანონით ეს გამოძიების ფუნქცია ჩამოერთმევა და, ზოგადად, საგამოძიებო სამსახურს გადაეცემა?

– დიახ. თუმცა, არა მარტო სახელმწიფო ინსპექტორს ჩამოერთმევა საგამოძიები ფუნქცია, არამედ ყველა სახელმწიფო სამსახურს, ხუთ სამინისტროსა და დეპარტამენტს ჩამოერთმევა საგამოძიებო ფუნქცია. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს თავისი საგამოძიებო დეპარტამენტი აქვს, ფინანსურ პოლიციას რომ ვეძახით. მათი ფუნქციებიც გადაეცემა დამოუკიდებელ საგამოძიებო სამსახურს. საინტერესოა, ვინ იქნება ამ საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ერთ პიროვნებაზე ვფიქრობ, რომელსაც თუ დანიშნავენ, უნიკალური იქნება.

– ვის გულისხმობთ?

– კახი კახიშვილი იქნება უნიკალური კადრი. კახი შინაგანად უფლებადამცველია, სისტემებშიც უმუშავია და, ბუნებრივია, მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანო მაქსიმალურად ობიექტური იქნება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექტორს მაინც რჩება ფუნქცია, რომ ფარული მიყურადების დროს, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, მოსმენების გასაღები მაინც მას რჩება. მას შეუძლია ე.წ. ვეტო დაადოს და სასამართლო გადაწყვეტილების დროს არც კი მისცეს დასტური, დაადგინოს, რომ მტკიცებულებები ბოლომდე გამოკვლეული არ იყო და მოსმენის უფლება არ მისცეს.

– სხვა სახელმწიფო სამსახურებსაც ჩამოერთმევათ საგამოძიებო უფლება, მაგრამ პრობლემა რატომღაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის საგამოძიებო უფლების ჩამორთმევაა. ოპონენტები ამბობენ, რადგან ამ სამსახურმა დაასკვნა, რომ საკაკაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა უფლებების დარღვევას, თითქოსდა ამის გამო ხდება საგამოძიებო უფლების ჩამორთმევა. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?

– აქ საკაკაშვილი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ეს არის ლონდა თოლორაიას პირადი კაპრიზი, რომელიც ამ წუთის მონაცემებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელია. ლონდა თოლორაიას მხარს უჭერენ ნაცმოძრაობისა და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები. მის შეხედულებებს იზიარებენ მხოლოდ ისინი, ვისზეც დიდი ეჭვი არსებობს, რომ ლონდა თოლორაია იყო დაკავშირებული.

– კერძოდ?

– კერძოდ, ლონდა თოლორაია ხომ არ იყო დაკავშირებული ოპოზიციურ ძალებთან, რაც მისი გადასაწყვეტია. მას შეუძლია ოპოზიციაში წავიდეს, მაგრამ მაშინ არ უნდა იყოს იმ სახელმწიფო სამსახურში, რომელსაც ხელმძღვანელობდა, რადგან რთული სამსახურია. სადაც სახელმწიფოს მართვაზე პასუხისმგებლობა ერთ პოლიტიკურ ძალას აქვს აღებული, იქ არ შეიძლება ოპონენტ პოლიტიკურ ძალას რაღაც ბერკეტები ჰქონდეს ხელში თუ ამაზე წინასწარ პოლიტიკური შეთანხმება არ იქნება.

აჟიოტაჟი და ხმაური გამოიწვია ლონდა თოლორაიას პერსონამ, ვიდრე, ვთქვათ, იმან, რომ აქ რაღაც სასწაული ხდება. აქ არავითარი სასწაული არ ხდება. ხდება ის, რაც უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

– თოლორაიამ განაცხადა, რომ მე და ჩემი სამსახურის წარმომადგენლებმა ამ სამსახურის გაუქმების თაობაზე ტელევიზიით შევიტყვეთო. რატომღაც ამ ცვლილებას სამსახურის გაუქმებას არქმევენ. თუმცა, ამ სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კონკურსიც არის გამოცხადებული.

– რეორგანიზაცია ხდება. რადგან რეორგანიზაცია ხდება, კონკურსის გამოცხადებაც ბუნებრივია. ამას პარლამენტი წყვეტს. აღნიშნული სამსახური პარლამენტის დაქვემდებარებაშია. ჩემი ინფორმაციით, პარლამენტში განხილვაც იყო და ლონდა თოლორაიამ ზუსტად იცოდა, რომ რეორგანიზაცია უნდა დაწყებულიყო. ამიტომ, რასაც ახლა თოლორაია ამბობს, აბსურდია.

– ანუ ხმაურია ხმაურისთვის, რადგან ეს რომელიღაც ძალებს სჭირდებათ?

– კი, ბატონო.

– ბატონო მამუკა, როდესაც საუბარია პოლარიზაციის დაძლევასა და შერიგებაზე, როგორ შეიძლება ეს მოხერხდეს, მით უფრო, რომ ერთ მხარეს ცხადად დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენი ძალაა და მათი წევრების სასამართლო პროცესები იმართება?

– შერიგებულიც არიან და გადარიგებულიც. კოაბიტაცია მეტი არაფერი იყო, თუ არა შერიგება. ზოგადად, მსოფლიოში თუ შერიგება უნდათ, კოაბიტაციაში არიან. „ოცნება“ და ნაცები კოაბიტირებულიც არიან და ერთმანეთში ისე არეულიც, ვინ ნაცმოძრაობას წარმოადგენს და ვინ არის „ოცნების“ წარმომადგენელი, ვერ მიხვდები. ძალიან ბევრ რაიონში ყოფილი ნაცები დღეს „ქართული ოცნებიდან“ გამგებლები, მერები და საკრებულოს წევრები არიან.

– ისეთ ადამიანებს ვხედავ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაზე, არ ვიცოდი, მათთან დაკავშირებით თუ რამე პრობლემა იყო. თქვენ არ მიდიხართ პრეზიდენტთან შეხვედრაზე?

– მე არ მივდივარ შეხვედრაზე, რადგან სალომე ზურაბიშვილმა პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისაგან განასხვავა. მაგალითად, მიიწვია 0,1%-იანი ბესელიას პარტია და ასევე, ჩვენზე ნაკლები პროცენტების მქონე რესპუბლიკელები მიიწვია, ხოლო 0,3%-იანი ჩვენი პარტია – არა.

– პრეზიდენტმა დაიბარა, თუ პარტიებმა მიმართეს?

– სალომე ზურაბიშვილის აპარატიდან უკავშირდებიან პარტიებს. დღეის მონაცემებით, ჩვენს ორგანიზაციაში არ დაურეკავთ. ველოდებით, თუ დაგვირეკავენ, ჩვენს პოზიციას გავაცნობთ. როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილმა ჩემი პოზიცია იცის, რომ შერიგების იდეა არის ჩვეულებრივი ბლეფი და ის ემსახურება ერთ მიზანს, როგორმე გააპრავონ მიხეილ საკაკაშვილის ციხიდან გათავისუფლება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩემი ერთ-ერთი უდიდესი ოცნებაა, ჩემი პრემიერმინისტრობის დროს, სხვა გეგმებთან ერთად, სიღარიბე დავამარცხოთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ონ. ეს დანაშაულია, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ძალიან ბევრი დასახელება წამლის, რომელიც ყოველდღიურ მოხმარებაშია და მოთხოვნადი წამალია, თუ ჩვენთან ღირს, დავუშვათ, 10 ლარი, ჩვენს მეზობელ თურქეთში შეიძლება ღირდეს 1-2 ლარი და ეს არის წამლები, რომლებიც, ყველაზე მოთხოვნადია.

– თურქეთში ძალიან განვითარებულია ფარმაცევტული სფერო, ბიზნესი. უმაღლესი ტექნოლოგიების ფარმაცევტული ქარხნები დადგეს ბოლო წლებში და ეს ყველა ნორმალური და ცივილიზებული ქვეყნის მიერ არის აღიარებული. თურქეთიდან დღეს რატომღაც აკრძალულია წამლების შემოტანა, იმპორტი. დავსვი კითხვა, რატომ? პასუხი არავის აქვს.

ეს ერთი მაგალითი ვთქვი. როგორც კი ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეს შეიძლება ძალიან სწრაფი ეფექტი იყოს და მაშინვე შეიძლება გაიაფდეს წამლები. ეს მაგალითისთვის გითხარით. ბუნებრივია, სხვა ღონისძიებებიც გვაქვს დაგეგმილი და მე ახალს არაფერს ვაკეთებ.

თქვენ ახსენეთ, რომ შეიძლება ვერევი ბიზნესში, მაგრამ მთავარი მოტივაცია არის პირველი – ხალხი, მოსახლეობა და ჩვენი ქვეყანა და შემდეგ – დანარჩენი სხვა. ეს გზა გაიარა ევროპამ. ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, შესაბამისად, რაც არის აპრობირებული, გამოცდილი და დადასტურებული ევროპაში და ცივილიზებულ სამყაროში, ისე უნდა გავაკეთოთ ჩვენც. ახალი ველოსიპედის გამოგონებას ჩვენ აქ არ ვაპირებთ, – განაცხადა პრემიერმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი მოსახლეობის ფული, მილიარდ 500 მილიონი იხარჯება ონლაინკაზინოებში, რაც კატასტროფა და დანაშაულია.

პრემიერმა პარლამენტის დეპუტატებს მის მიერ წარდგენილი კანონპროექტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ აზარტული თამაშების გამო კიდევ უფრო გაღარიბდა და გაღატაკდა სოციალურად დაუცველი ფენა, რომელიც ადვილად მოწყვლადია და მისი ნაწილი, აზარტული თამაშების გარდა ნარკომანიაში და სხვა გაუგებარ საქმიანობაშია ჩართული, რისი შეცვლაც აუცილებელია.

– მე მინდა, პარლამენტს და თითოეულ დეპუტატს მადლობა გადავუხადო, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას, რომელიც აზარტულ თამაშებს არეგულირებს. ინიციატივა ბოლომდე მივიყვანეთ და ეს კანონი მივიღეთ. ასაკობრივი ზღვარი ავწიეთ 25 წლამდე და ეს იყო ყველაზე კრიტიკული იმიტომ, რომ ახალგაზრდები ლუდომანიისა და აზარტული თამაშების მანკიერ მხარეებს, სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებენ.

ამ თამაშების გამო კიდევ უფრო გაღარიბდა და გაღატაკდა ჩვენი მოსახლეობა და გაღატაკდა ვინ?! ძირითადად სოციალურად დაუცველი ფენა, ისევ ღარიბები. წარმოიდგინეთ, ჩვენი მოსახლეობის ფული, მილიარდ 500 მილიონი იხარჯება აი, ამ გაუგებარ აზარტულ თამაშებში, ონლაინკაზინოები მაქვს მხედველობაში. ეს ხომ კატასტროფა და დანაშაულია! რა თქმა უნდა, უკეთესია, რომ ეს მილიარდ-ნახევარი თავიანთი ოჯახებისთვის, შვილებისთვის, პირადი კომფორტისთვის გამოიყენონ და აი, ამ გადაწყვეტილებას დავეხმარეთ.

ეს ფენა უფრო ადვილად მოწყვლადია და მათი ნაწილი, აზარტული თამაშების გარდა ნარკომანიაში და სხვა გაუგებარ საქმიანობაშია ჩართული, ეს უნდა შევცვალოთ უკეთესობისკენ. ეს ადამიანები უნდა ჩავრთოთ სამუშაო ადგილების შექმნაში, სპორტი და სხვა ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა შევთავაზოთ ამ ადამიანებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნიკა გვარამია: „ექიმმა ნინო გოგორიშვილმა საკაკაშვილის სიკვდილს მოაწერა ხელი. ახლა თავად ადამიანურად განადგურებულია“

მესამე პრეზიდენტის ადვოკატ ნიკა გვარამიას განცხადებით, გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიხეილ საკაკაშვილის მკურნალი ექიმი, ნინო გოგორიშვილი, ადამიანურად განადგურებულია და მძიმე სტრესულ ვითარებაშია.

– რაც შეეხება ქალბატონ გოგორიშვილს, მან პრაქტიკულად 27 დეკემბერს ხელი მოაწერა მიხეილ საკაკაშვილის სიკვდილს, სამწუხაროდ. თვითონ არის ადამიანურად განადგურებული, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, იმყოფება მძიმე სტრესულ ვითარებაში თვითონაც.

რა თქმა უნდა, თავისი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა, ადამიანმა დაწერა დღეს, რაც დაწერა და მოაწერა ხელი იმას რასაც მოაწერა. ის თვლის, რომ საერთოდ შეუძლებელია აქ მისი ფსიქორეაბილიტაცია, – თქვა ნიკა გვარამიამ.

ნიკა გვარამიამ მედიასთან წაიკითხა გოგორიშვილის გამოკითხვის ოქმი, რითიც დასტურდება, რომ მან ფორმა 100-ს ხელი ისე მოაწერა, რომ სახელმწიფო კონსილიუმი საქმის კურსში არ იყო, გარდა ამისა, გაწერის

გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ მიხეილ საკაკაშვილის ფსიქო-ნევროლოგიური სტატუსი არ იყო ბოლომდე დადგენილი.

მკურნალი ექიმი ადასტურებს, რომ მიხეილ საკაკაშვილს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა აქვს და მისი მკურნალობა საქართველოს პირობებში, თავისუფლების გარეშე, შეუძლებლად მიაჩნია.

ლონდა თოლორაია 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორი აღარ იქნება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა 2022 წლის 1 მარტიდან გაუქმდება. პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, 2022 წლის 1 მარტიდან თანამდებობებიდან თავისუფლდებიან როგორც სახელმწიფო ინსპექტორი, ასევე მისი პირველი მოადგილე და მოადგილეები.

1 მარტიდან შრომითი ურთიერთობები უწყდებათ და სამსახურიდან თავისუფლდებიან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სხვა თანამშრომლები.

ამავე პროექტში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული მობილობის წესი არ გავრცელდება. მათ არ ექნებათ თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, სამუშაო ადგილის ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნის უფლება.

აღნიშნული პირები შეიძლება მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხონ.

ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია მათთვის 2022 წლის 1 მარტიდან 3 თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, კომპენსაციის მიცემა.

პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად, ორი უწყება – სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იქმნება. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების ფუნქცია ექნება. რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, მას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის და ყველა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის ფუნქცია ენიჭება.

– მიზეზები, რასაც ახლა ვამბობ, მაფიქრებინებს, რომ ჩვენ რეალურ რეფორმას ამ კანონით არ ვატარებთ.

რა წერია პროექტში

ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ საპროცედურო საკითხთა და წესების და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე განაცხადა, სადაც გუშინ, 28 დეკემბერს, სამსახურის გაუქმების შესახებ ახალ კანონპროექტზე მსჯელობდნენ.

ასევე, თოლორაია დაინტერესდა, რა ბედი ელით ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებს და რომელ ევროპულ ქვეყანაში უქმდება არჩევითი თანამდებობა პარლამენტის მიერ.

– თქვენ თქვით, რომ არაფერი უქმდება, რატომ ხდება ამ სამსახურის ლიკვიდაცია და არა რეორგანიზაცია? რატომ არ ნაწილდებიან ეს თანამშრომლები ორ სხვადასხვა სამსახურში? თქვენ დაიწყეთ ძალიან დიდი პათოსით და მიმართეთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებს, რომ ისინი არსად მიდიან.

ეს არის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად მაღელვებს. მაშინ, მე კანონპროექტიდან ციტატას მოგიყვანთ: „2022 წლის მარტიდან თანამდებობიდან გათავისუფლდნენ სახელმწიფო ინსპექტორი, მისი პირველი მოადგილე, მოადგილეები, პირველი მარტიდან შეუწყდეთ შრომითი ურთიერთობები და სამსახურიდან გათავისუფლდნენ სახელმწიფო ინსპექტორის სხვა თანამშრომლები“. თქვენ თქვით, რომ რეკომენდაციას გასცემთ, რა რეკომენდაციას გასცემთ? სახელმწიფო ინსპექტორის ახალ არჩევით თანამდებობებში ჩაერევით და ეტყვით, რომ ლონდა დატოვე, გიორგი გაუშვი, სალომე დატოვე, სოფო გაუშვი, თუ როგორ აპირებთ ამ პროცესში ჩარევას შემდგომ? ან რას ნიშნავს პარლამენტის რეკომენდაცია – ვის ჩამოხრჩობა, ვის სიკვდილი? რას უპირებთ ამ თანამშრომლებს? ამ მუხლით, ყველანი მიდიან 1 მარტიდან სახლში.

რამ შეგიშალათ ხელი ამ კანონის გარდამავალ დებულებაში ზუსტად იგივე ჩანაწერი ყოფილიყო, როგორიც იყო თავის დროზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონში, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი გახდა სახელმწიფო ინსპექტორი თავისი მოადგილით და როდესაც ყველა თანამშრომელმა გააგრძელა მუშაობა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მყოფი ვერც ერთი თანამშრომელი ვერ იტყვის, რომ ლონდა თოლორაიამ რაიმე პრობლემა შეუქმნა რომელიმე ძველ თანამშრომელს. პირიქით, ძალიან ბევრი მათგანი დღეს უფრო მაღალ თანამდებობაზეა და ერთ-ერთი ჩემი მოადგილეც გახლავთ სწორედ ძველი კადრი.

გავიგეთ, რომ კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა არ მივიღეთ, რადგან ამის ღირსადაც არ ჩავითვალეთ, მაგრამ მაინტერესებს, რატომ არ გამოგვეგზავნა თუნდაც უკვე დაინიცირებული კანონპროექტი იმისთვის, რომ დღეს ჩვენ მეტი ინფორმაცია გვქონოდა? ეს მიზეზები, რასაც ახლა ვამბობ, მაფიქრებინებს, რომ ჩვენ რეალურ რეფორმას ამ კანონით არ ვატარებთ, – განაცხადა თოლორაიამ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კანონპროექტის განხილვას გამოეხმაურა.

ნიკა სიმონიშვილის ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორებს არც კი შეუსწავლიათ ის მოცემულობა და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას სახელმწიფო ინსპექტორი და მათი მთავარი მიზანი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გაუქმებაა.

– ჩვენმა წარმომადგენლებმა კითხვა დასვეს პარლამენტში, თუ რა საშიშროება დაინახეს ისეთი, რა კონკრეტული პრობლემა, რომელსაც შედეგად ასე რეალურად მცირე დროში უნდა მოჰყოლოდა ინსპექტორის სამსახურის ორ სამსახურად დაშლა. თუმცა, ასეთი კონკრეტული არგუმენტი არ მოგვისმენია, არც ერთი კონკრეტული პრობლემური საკითხი არ წარმოჩენილა, მათ შორის, კანონპროექტის ინიციატორებისგან, ის კი არა, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ინიციატორებს საერთოდ არ შეუსწავლიათ ის მოცემულობა, რომელშიც ახლა სახელმწიფო ინსპექტორი იმყოფება, რა გამოწვევების წინაშე დგას ის.

სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯი, რაც ითვალისწინებს იმას, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაიყოფა ორად და მოქმედი სახელმწიფო ინსპექტორი გათავისუფლება თანამდებობიდან, – განაცხადა ნიკა სიმონიშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში.

გუშინ, 28 დეკემბერს, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების საკანონმდებლო ინიციატივას მხარი დაუჭირა.

„ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უქმდება და მის ბაზაზე 2 სამსახურის შექმნა იგეგმება.

კანონპროექტი მმართველი პარტიის წევრებმა: რატი იონათამიშვილმა, გივი მიქანაძემ, გიორგი ამილახვარმა, ანრი ოხანაშვილმა, დავით მათიკაშვილმა, ალუდა ღუდუშაურმა და გურამ მაჭარაშვილმა მოამზადეს.

მოსამართლეთა ნაწილი საქართველოს პარლამენტისგან განმარტებებს ითხოვს

მოსამართლეთა ნაწილი საქართველოს პარლამენტს ღია წერილით მიმართავს და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ განმარტებებს ითხოვს.

წერილში ნათქვამია:

„27 დეკემბერს მოსამართლეებმა მედია საშუალებებით შევიტყვეთ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ინიცირებულია ცვლილებები, რომლითაც მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას არსებითი საფრთხე ექმნება.

აღნიშნული ცვლილებებით მარტივდება მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა, მოსამართლეთა ნებართვის გარეშე მივლინება, დასაშვები ხდება მოსამართლეთა სანქცირების მიზნით მათი სხვა სასამართლოში გადაყვანა, დაქვეითება და ა.შ. მოსამართლეთა დევნა დასაშვები ხდება ასევე მოსამართლეთა მიერ გამოხატული კრიტიკული აზრის გამო, თუ მოსაზრება ვინმეს „გადაჭარბებულად“, „არაპროპორციულად“ ან პოლიტიკურად „არანეიტრალურად“ მოეჩვენა. აღნიშნული ცვლილებებით დაკანონება ხდება ყველა იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების, რაც მოსამართლეთა დევნის ეფექტიან და გამოცდილ მეთოდებად მიიჩნეოდა წლების განმავლობაში.

რაც მთავარია, აღნიშნული ცვლილებებით ვბრუნდებით იმ დროში, როცა მოსამართლეებს დაცვის მექანიზმები არ ჰქონდათ და მივლინება „ურჩ“ მოსამართლეთა დასჯის ეფექტიან მეთოდად გამოიყენებოდა. დამოუკიდებელი სასამართლო დამოუკიდებელ მოსამართლეებზე დგას. შესაბამისად, ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მიზანი და დასაცავი სიკეთე თავისუფალი და დამოუკიდებელი მოსამართლეების ხელშეუხებლობაა. წარმოდგენილი ცვლილებებით დამოუკიდებელი მოსამართლეების შესუსტება, მათი დაშინებისა და კრიტიკული აზრის გამოხატვის აკრძალვის მცდელობა ხდება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭებით ხელი შეეწყობა ძალაუფლების კიდევ უფრო მეტ კონცენტრაციას და ინდივიდუალური მოსამართლეების ხელთ არსებული დაცვის ბერკეტების კიდევ უფრო მეტად შესუსტებას. მოსამართლის საქმეში ჩაურევლობა მარტოოდენ კონკრეტული საქმეების გადაწყვეტაზე ზემოქმედების დაუშვებლობას არ გულისხმობს. სამოსამართლო თვითმმართველობა, სამოსამართლო აქტივიზმი, მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით პოზიციების, მათ შორის, კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვაც სამოსამართლო საქმის ნაწილია. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის შესაძლებლობის მიცემა, არაგანჭვრეტადი საკანონმდებლო ჩანაწერის საფუძველზე, მოსამართლის მიერ გამოხატული აზრის მიზანშეწონილობა შეაფასოს, ხმათა მარტივი უმრავლესობით თავისუფალი სიტყვისთვის მოსამართლეები დისციპლინურად დევნოს, არანებაყოფლობით სხვა სასამართლოში მიავლინოს, არის იერიში ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ და თავისუფალ მოსამართლეებზე.

საგულისხმოა, რომ არსებული ეთიკური წესები და დისციპლინური პროცედურები საკმარისად ეფექტიანად უზრუნველყოფს სასამართლოს ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვას. ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში, შესაძლებელია არსებობდეს, ან შემდგომში წარმოიშვას ისეთი გარემოებები, როდესაც მოსამართლის მიერ აზრის გამოხატვა, როგორც მოქალაქისა და საზოგადოების წევრის, არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა. თუ პარლამენტი მითითებულ ცვლილებებს მხარს დაუჭერს, აღნიშნული ცვლილებების მავნე ეფექტის თავის თავზე გადატანა ყველა მოსამართლეს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი საზოგადოების ყველა წევრს მოუწევს. შესაბამისად, მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ „საერთო სასამართლოების“ შესახებ კანონში აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისაგან და მუშაობა გააძლიეროთ ინდივიდუალური მოსამართლეებისათვის დამოუკიდებლობის უფრო მეტი გარანტიების შესაქმნელად. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული თავისუფალი სასამართლოს შექმნა. სამწუხაროდ, ყველა მოსამართლესთან ტექნიკურად დაკავშირება ვერ მოხერხდა, თუმცა, განცხადება ღიაა ხელმოსაწერად და გასაზიარებლად“, – ნათქვამია მოსამართლეთა ღია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ მოსამართლეები:

არეშიძე ეკა, გასიტაშვილი ეკატერინე, დარბაიძე ლევანი, დევიძე დევი, ებანოიძე გიორგი, კიკვაძე ციცინო, მესხიშვილი მანანა, მარტიაშვილი ზაზა, მაისურაძე მადონა, მესხიშვილი ქეთევან, სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი თეა, წიკლაური მამუკა, ხაჟომია თამარი, ნიპარიშვილი ბადრი.

პროკურორი ვეფხვაძე: „ელგუჯა ცომაიამ გიორგი ლორთქიფანიძის წინააღმდეგ მისცა ჩვენება“

პროკურორ ლევან ვეფხვაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის კვეთაში დახმარების ფაქტზე შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის გიორგი ლორთქიფანიძის წინააღმდეგ ჩვენება ბრალდებულმა ელგუჯა ცომაიამ მისცა.

პროკურორის თქმითვე, სწორედ აღნიშნული ჩვენება იყო ერთ-ერთი მტკიცებულება, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა.

– ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სხვა პირები უკრაინაში არ იყვნენ, ელგუჯა ცომაიას ჩვენების მიხედვით დეტალურად არის აღწერილი ბრალდებულ გიორგი ლორთქიფანიძის ქმედებები თუ რაში გამოიხატა მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის კვეთისას, – განაცხადა ვეფხვაძემ.

გუშინდელ, 28 დეკემბრის, სასამართლო პროცესზე დაკავებულებმა გიორგი ნარიმანიძემ, ელგუჯა ცომაიამ, ზურაბ და შალვა ნოწორიებმა მათთვის წარდგენილი ბრალდება აღიარეს. ამასთან, ოთხივე მათგანის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 344-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ბრალდებულებს გიორგი ნარიმანიძეს, ელგუჯა ცომაიას, შალვა და ზურაბ ნოწორიებს მძიმე დანაშაულის დაფარვას ედავებიან.

რაც შეეხება ელგუჯა ცომაიას, მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში დახმარებისთვის.

სემეკმა 6 კომპანია 5.000–5.000 ლარით დააჯარიმა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) საჯარო სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5.000-5.000 ლარით 6 კომპანია დააჯარიმა.

სემეკის ცნობით, დაჯარიმების საფუძველია კომპანიების მიერ რეგულაციების დარღვევა.

კერძოდ, როგორც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განმარტავენ, კომპანიებმა სემეკში სრულყოფილად არ წარმოადგინეს წლიური ფინანსური ანგარიშგებები და აუდიტის ანგარიშები.

„5.000 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა შპს „ფერს“, შპს „სუპორჰესს“, შპს „ენერგიას“, შპს „ჯონოული 1“-ს, შპს „მაქსანია-2014“-ს, შპს „ჰიდროენერჯის“. ამასთან, კომპანიებს განემარტათ, რომ არაუგვიანეს 1 თებერვლამდე ფინანსური ანგარიშგების სრულყოფილად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია მათთან მიმართებით საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე კვლავ იმსჯელებს“, – აღნიშნულია სემეკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ორსული ცოლის მკვლელობაში ბრალდებულ გოგა გზირიშვილს ექსპერტიზა ჩაუტარდება



ორსული ცოლის, ქეთა კეპულაძის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში ბრალდებულ გოგა გზირიშვილს ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება.

პროკურატურამ შესაბამისი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა 27 დეკემბერს დანიშნა. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით უნდა დადგინდეს, როგორი იყო გოგა გზირიშვილის ფსიქიკური მდგომარეობა როგორც მკვლელობის ჩადენის მომენტში, ასევე როგორია ის ახლა.

გამოძიების ინფორმაციით, 22 დეკემბერს, თბილისში, ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ორსულ მეუღლეს – ქეთა კეპულაძეს განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში ოცდაათამდე ჭრილობა მიაყენა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გოგა გზირიშვილი წარდგენილ ბრალდებას აღიარებს და აცხადებს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა.

ნიკო კვარაცხელიას ოჯახი: „ჭელიძე და კაველაძე ვისი მფარველობის ქვეშ არიან, თავს ყველაფრის უფლებას რომ აძლევენ?!“

27 დეკემბრის სასამართლო სხდომის შემდეგ ნიკო კვარაცხელიას ოჯახმა ასეთი განცხადება გააკეთა:

„დღეს ჩვენი ოჯახი, კიდევ ერთხელ, თქვენთან ერთად, აბსურდის თეატრის მომსწრენი გავხდით. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ტელევიზიით ვიხილეთ ორი -“ადამიანი“ თავაწეული, რომლებიც ერთმანეთს უდასტურებდნენ აბსურდს, ისინი ჩემს შვილს არ იცნობდნენ და დღემდე მკვლელობის მოტივს არ ასახელებენ, ვერც ეს ორი და ვერც შესაბამისი სტრუქტურები, საქმე გამოძი-ებულია?!

ვისი მფარველობის ქვეშ არიან ესენი, რომ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ? უფლებადამცველები ამაყად საუბრობენ მათ თითქმის უდანაშაულობაზე. ნიკოს საქმისთვის ჩვენ არ გვყოლია ადვოკატი, რადგან არ ვფიქრობდით, რომ ნიკოს დაცვა სჭირდებოდა. უმძიმესი კადრები იხილა ჩვენმა საზოგადოებამ.

მინდა, მოვუწოდო ჭელიძისა და კაველაძის ოჯახებს, თქვენ, თქვენმა მაღალანაზღაურებადმა უფლებადამცველებმა გაგაცნეს საქმე, თქვენ იცით მკვლელიც, დამკვეთიც და თანამონაწილეც. სუნთქვა არ შეგეკრათ დღეს, როდესაც თქვენი შობილი ე.წ. ადამიანები იხილეთ ამ აბსურდის თეატრში თანამონაწილედ. თქვენ ხომ ყველაფერი იცით, ვინ და რა გარემოებაში ჩაიდინა დანაშაული? რატომ უწყობთ ოჯახი ხელს, რომ თქვენი შვილები დაიხსნათ ამ უსასტიკესი დანაშაულიდან, ღვთის რისხვის მაინც არ გეშინიათ? გაუსაძლისია ჩვენი ყოფა... ვთხოვ იმ სტრუქტურას, განმსჯელს, რომ იმოქმედოთ კანონის შესაბამისად, ჩვენთვის ყველაფერი ნათელია. ნურავინ ეცდება ამ საქმის კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვებას, ჩვენ არ გავჩერდებით, სანამ სიმართლე არ გაჟღერდება“.

აშშ და რუსეთი მოლაპარაკებებს 10 იანვარს გამართავენ

შეერთებული შტატები და რუსეთი ბირთვული იარაღის კონტროლისა და უკრაინის გარშემო არსებული დაძაბულობის შესახებ დიალოგის გამართვას 10 იანვარს გეგმავენ.

ამის შესახებ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა.

– აშშ მოუთმენლად ელის რუსეთთან დიალოგს. როდესაც სალაპარაკოდ დავსხდებით, რუსეთს შეუძლია, საკუთარი შეშფოთება მოლაპარაკებების მაგიდასთან წარადგინოს და ჩვენც დავაყენებთ იმ საკითხებს, რომლებიც რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით გვაშფოთებს, – განაცხადა პრესსპიკერმა.

10 იანვარს ორმხრივი შეხვედრა „სტრატეგიული უსაფრთხოების დიალოგის ინიციატივის“ პროცესის ფარგლებში გაიმართება, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და მისმა რუსმა კოლეგამ, ვლადიმერ პუტინმა გასული წლის ივნისში ჟენევის სამიტზე წამოიწყეს.

ამასთან, 12 იანვარს რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომა იგეგმება, 13 იანვარს კი, სავარაუდოდ, მოსკოვსა და ეუთოს მუდმივ საბჭოს შორის შეხვედრა გაიმართება.

როგორც ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის, ასევე მოსკოვისა და ეუთოს მუდმივ საბჭოს შორის დიალოგის ძირითადი თემა უკრაინის საკითხი იქნება.

ვალებში ჩავარდნილმა მამაკაცმა დედისგან გამოსასყიდის მისაღებად საკუთარი გატაცება გაითამაშა

20 წლის ჰონგკონგელმა, რომელიც ვალებში ჩავარდა, საკუთარი გატაცება გაითამაშა იმის იმედით, რომ დედისგან 300 ათას ჰონგკონგურ დოლარს მიიღებდა და თავი სასამართლოში ამოყო.

გატაცების თაობაზე განცხადება ქალმა სამართალდამცავ ორგანოებში 24 დეკემბერს შეიტანა. მისი თქმით, მისი შვილი, გვარად მაკი, ბოროტმოქმედებმა გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს. მოგვიანებით მან მიიღო ვიდეო, რომელზეც ორი მამაკაცი თითქოსდა ძალის გამოყენებით ტენის მის შვილს ავტომობილში. ამავე ვიდეორგოლში დამნაშავეები გამოსასყიდის სახით 300 ათას ჰონგკონგურ დოლარს მოითხოვდნენ.

პოლიციელებმა სწრაფად მოახერხეს დამნაშავეთა ადგილსამყოფლის დადგენა და ისინი დააკავეს. დაკითხვაზე მათ აღიარეს, რომ მაკმა თავად დაითანხმა ისინი საკუთარი გატაცების გათამაშებაზე. ეს ნაბიჯი მან ვალების გამო გადადგა და გადაწყვიტა, რომ ვალები გამოსასყიდის დახმარებით გაესტუმრებინა.

ჰონგ-კონგის კანონმდებლობით მსგავსი ქმედება ისჯება ნახევარ წლამდე პატიმრობითა და ორი ათასი ჰონგკონგური დოლარის ოდენობის ჯარიმით.

საფრანგეთში იხურება ღამის კლუბები, პირბადეები სავალდებულო ხდება

საფრანგეთი, კორონავირუსის ომიკრონ ვარიანტის გავრცელების ფონზე, 3 იანვრიდან შეზღუდვებს ამკაცრებს.

შეზღუდვების ფარგლებში იხურება ღამის კლუბები, ქალაქების ცენტრებში პირბადეების გამოყენება სავალდებულო ხდება, მოქალაქეებს, რომლებსაც დისტანციურად მუშაობა შეუძლიათ, სახლიდან მუშაობა კვირაში მინიმუმ სამ დღეს მოუწევთ.

დახურულ სივრცეებში იკრძალება 2.000 პირზე მეტის თავშეყრა, ღია სივრცეებში შეკრებილების რაოდენობა კი 5.000-ს არ უნდა აჭარბებდეს.

მოქალაქეების დაინფიცირებისგან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით „ბუსტერ“ დოზის გაკეთების პერიოდი 3 თვემდე მცირდება.

ამასთან, პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, 15 იანვრიდან საფრანგეთში საჯარო სივრცეში შესასვლელად მხოლოდ ტესტის უარყოფითი პასუხი საკმარისი აღარ იქნება და საჭირო გახდება ვაქცინაციის დამადასტურებელი კოვიდსაშვის წარდგენა.

საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრმა ოლივიე ვერანმა განაცხადა, რომ ქვეყანაში კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევები ყოველ ორ დღეში ორმაგდება და მოსალოდნელია ახალი შემთხვევების მეგატალღა.

საფრანგეთში შაბათს კორონავირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 100.000-ს გადააჭარბა, რაც რეკორდულად მაღალი დღიური მაჩვენებელია ქვეყნისთვის პანდემიის დაწყების დროიდან.

სამმა ქალმა თევზაობის რეკორდები მოხსნა

სპორტული თევზაობის საერთაშორისო ასოციაციამ თევზის ჭერის ახალი მსოფლიო რეკორდები გამოაცხადა, რომლებიც დეკემბერში დარეგისტრირდა.

ამერიკელმა მეთევზე ჯასტინ კვინტალუმ რეკორდული მიკტეროპერკი დაიჭირა, რომლის წონამ 10,52 კილოგრამი შეადგინა. ის ეჭვობდა, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამიტომ ორი საათი მოანდომა ასოციაციის უახლოეს წარმომადგენლობამდე მიღწევას თავისი ნანადირევის ასაწონად.

კლერ სებალდმა, რომელიც ალასკაზე თევზაობდა, 82– სანტიმეტრიანი კოჰოს ორაგული დაიჭირა, რომლის წონამ 6,12 კილოგრამი შეადგინა. კანადელმა კიანე მერკრედიმ მანიტობიში ჟუზარმაზარი არხის ლოქო დაიჭირა, რომელიც 8,53 კილოგრამს იწონიდა. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე შემთხვევა მეთევზე ქალებს შორის მსოფლიო რეკორდად აღიარეს.

12 წლის ნიკოლას ფანომ ფლორიდაში დიდი კარანკსი დაიჭირა, რომლის წონამ 26,54 კილოგრამი შეადგინა. მის წყლიდან ამოსაყვანად 30 წუთი დასჭირდა. ბიჭს ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი მიაკუთვნეს, ახალგაზრდებსა და მოზრდილებს შორის.

დენვერში პირმა 4 ადამიანი მოკლა და 3 დაჭრა

გუშინ, 28 დეკემბერს, აშშ-ში, დენვერში, შეიარაღებულმა პირმა, სულ მცირე, 4 ადამიანი მოკლა და 3 დაჭრა.

დაჭრილებს შორის 1 პოლიციელია. თავდამსხმელმა სროლა რამდენიმე ლოკაციაზე ატეხა.

ამასთან, მან ორჯერ გაუხსნა ცეცხლი სამართალდამცავებს, რომლებიც დასაკავებლად დაედევნნენ.

შეიარაღებული მამაკაცის ლიკვიდირება ლეიკვუდის პოლიციამ მას შემდეგ განახორციელა, რაც მან ერთ-ერთი სამართალდამცავი დაჭრა.

თავდასხმის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უშიშარმა დობერმანმა პატრონები კობრისგან იხსნა

დობერმანის ჯიშის უშიშარმა ძაღლმა მოახერხა კობრის შემოტევის მოგერიება, რომელიც სახლში შეღწევას ცდილობდა და პატრონები მის თავდასხმას გადაარჩინა.

დობერმანმა, სახელად კალიმ, თავისი პატრონის სოუმი რანჯან სენაპატის სახლი დაიცვა. ოჯახის წევრებმა ძაღლის ყეფა გაიგონეს და სასწრაფოდ ეზოში გავიდნენ. ძაღლის პატრონებმა დაინახეს, თუ როგორ ეჭირა პირით კალის კობრის სხეული, რომელიც შემდეგ მიწაზე დაანარცხა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ათვალიერებს ძაღლს სენაპატი საშიშ რეპტილიასთან ორთაბრძოლის შემდეგ, ამ დროს კი კობრა მიწაზე იკლაკნება. ამის შემდეგ გველებზე მონადირემ გველი სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით ტომარაში მოათავსა.

კატამ მეზობლებს ნარკოტიკების მისაღები მოწყობილობა მოჰპარა

ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩში რამდენიმე წელია, ბინადრობს კლეპტომანი კატა, სახელად კიტი. ის მეზობლებს ნივთებს ჰპარავს. უკანასკნელ დროს მის მიერ მოპარულ ნივთებს შორის აღმოჩნდა თეთრი ფხვნილის შიგთავსიანი შეკვრა და ნარკოტიკების მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა.

ცხოველის პატრონებმა აღიარეს, რომ არ იციან, რა მოუხერხონ მის მავნე ჩვევას. შავი კატა უკვე სამი წელია, მეზობლების სახლში აღწევს ღამის საათებში და იპარავს ყველაფერს, რასაც კი თვალს დაადგამს. ზოგჯერ ერთ ღამეში ექვსი სხვადასხვა ნივთიც კი აქვს მოპარული, ხოლო თუ მის მიერ მოპარული საგანი იმდენად დიდი ზომისაა, რომ მისთვის განკუთვნილ სპეციალურ კარში ვერ ეტევა, იქვე, ეზოში ტოვებს.

მის „ნანადირევთა“ შორისაა ისეთი ნივთები, როგორებიცაა ციხის ზედამხედველის პერანგი, ტრუსები, ბიუსტჰალტერები, ფეხსაცმელები. ერთ-ერთმა მეზობელმა იმისთვის, რომ კატას მისი ფეხსაცმელები არ მოეპარა, მათში 2,5-კილოგრამიანი ფოლადის ნივთები ჩააწყო.

კლეპტომანი კატის პატრონებმა სახლის წინ რამდენიმე კონტეინერი დადგეს, რომლებშიც თავიანთი შინაური ცხოველის მიერ მოპარულ ნივთებს აწყობენ, კონტეინერზე კი მობოდიშების შემცველი წარწერაა გაკეთებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კეიტ მიდლტონმა დაფარული ნიჭი გამოავლინა

ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონმა საშობაო კონცერტზე, რომელიც ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა, ფორტეპიანოზე დაუკრა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბზე მომღერალ ტომ უოკერის არხზე გამოქვეყნდა.

კემბრიჯის 39 წლის ჰერცოგინიამ საკუთარი აქამდე დაფარული ნიჭი წარმოადგინა და პოპვარსკვლავთან ერთად გამოვიდა მის საშობაო კონცერტზე, რომელსაც 1,2 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. აღნიშნულ ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მიდლტონის მშობლები, მეუღლე, ძმები და დები.

კონცერტზე კეიტ მიდლტონს ეცვა კეტრინ უოლკერის წითელი კაბა და საფირონისა და ბრილიანტისთვლებიანი საყურეები ეკეთა.

სამეფო ოჯახის წევრის „უნაკლო“ გამოსვლა უოკერისა და სიმებიანი კვარტეტის მონაწილეობით ტელევიზიით გადაიცემოდა. ტომ უოკერის აღიარებით, ჰერცოგინიასთან ერთად გამოსვლა მისთვის უდიდესი პატივი იყო.

– ეჭვგარეშეა, რომ ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება. ვფიქრობ, ჩვენ მეტად ვნერვიულობდით იმის გამო, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა თუ არა, მაგრამ ის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო. ადვილი არ არის, უბრალოდ, პიანინოსთან დაჯდე და იმ მუსიკოსების გუნდთან ერთად დაუკრა, რომლებთან ერთადაც ადრე ასეთი რამ არ გაგიკეთებია. მან ამ ყველაფერს ძალიან ადვილად გაართვა თავი. ის მშვენიერი, კეთილი და მომხიბვლელი ადამიანია. მან იმის დროც გამონახა, რომ ყველასთვის პირადად გადაეხადა მადლობა, – განაცხადა უოკერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლოკომოტივი დაიცალა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი ახალი დასრულებულია, გუნდები უკვე ახალი სეზონისთვის მზადებას უნდა იწყებდნენ და ამ დროს თბილისის ლოკომოტივი ფეხბურთელებისგან იცლება.

დავიწყოთ იმით, რომ დედაქალაქური გუნდი მთავარმა მწვრთნელმა გია ჭიაბრიშვილმა დატოვა.

აი, კლუბის განცხადება:

– გიორგი ჭიაბრიშვილმა ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არსებული კონტრაქტი აღარ გაგრძელდა. დიდი მადლობა გიორგის ჩვენთან გატარებული პერიოდისა და იმ უსაზღვრო ემოციებისთვის, რომლებიც ერთად გვქონდა! წარმატებები.

მწვრთნელთან ერთად გუნდიდან წავიდა 14 ფეხბურთელი. ამასთან, თუ გადავხედავთ წასულ ფეხბურთელთა სიას, ვნახავთ, რომ ყველა მათგანი ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებოდა.

ლოკომოტივიდან წასული ფეხბურთელები არიან: მარკ სპეკელნიკი, დავით უბილავა, ალექსანდრე გურეშიძე, გიორგი გაბაძე, ადამა ვადე, ნიკა სანდოხაძე, დავით სამურკასოვი, თეიმურაზ შონია, თორნიკე კირკიტაძე, ბექა დარცმელია, კახა კახაბრიშვილი, გიორგი დიასამიძე, მამია გავაშელიშვილი, ირაკლი სიხარულიძე.

ასევე ამბობენ, რომ გუნდს დატოვებს ულად-ომარ იმრანი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალს რამდენიმე თვე ზურგჩანთაში გამდიდრების გასაღები ედო და არ იცოდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლის მცხოვრები ქალი რამდენიმე თვის განმავლობაში ზურგჩანთით გამდიდრების გასაღებს დაატარებდა და ამის შესახებ არაფერი იცოდა.

32 წლის ქალი მერილენდის შტატში ნათესავების მოსანახულებლად იმყოფებოდა და იქვე გადაწყვიტა, ლატარიის ბილეთი შეეძინა. მან შეძენილი ბილეთი ზურგჩანთაში ჩადო და დაივიწყა.

გარკვეული დროის შემდეგ ქალი ზურგჩანთის დალაგებას შეუდგა და ბილეთი იპოვა. მან გადაწყვიტა, გათამაშების შედეგები შეემოწმებინა და აღმოჩნდა, რომ ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა. მან ბილეთი რამდენიმეჯერ შეამოწმა, ვინაიდან ვერაფერით იჯერებდა, რომ ასე გაუმართლა.

ის მოგებული თანხის ნაწილით ოჯახთან ერთად დასვენებას გეგმავს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ალექსანდრ პერვუხინი: „ქართველებს რუსეთში ჩამოსვლა უნდა ვაიძულოთ“

რაგბი ევროპის სუპერთასის პირველი გათამაშების ნახევარფინალში ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი უკვე გასულია, ისევე, როგორც რუსული კრასნოიარსკის ენისეი.

ამ გუნდების მატჩი 11 დეკემბერს თბილისში გაიმართა და ქართულმა გუნდმა 27:20 მოიგო. ახლა სათამაშო რუსეთშია, სადაც უნდა გაირკვეს, თუ ვინ გავა ნახევარფინალში პირველი ადგილით და ვის ექნება მოედნის უპირატესობა.

რუსები ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ენისეის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა რაგბი ევროპის სუპერთასის ეგიდით ქართულ ფრენჩაიზ შავ ლომთან გასულ და მომავალ მატჩებზე ისაუბრა.

ალექსანდრ პერვუხინი:

– შავ ლომთან მარცხს საკუთარ თავზე ვიღებ. გუნდი ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა და ჩავთვალე, რომ რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება საჭირო არ იყო. სხვა საქმეა, რომ ქართველების წინააღმდეგ სათამაშოდ მაქსიმალური განწყობით უნდა გახვიდე. ვერ ვიტყვი, რომ ასე არ იყო, თუმცა ჩვენი გარჯა მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა. ლოკომოტივ-პენზასთან წაგების მერე, რასაც ხელმძღვანელობის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა, შავი ლომის მორაგბეები მზად იყვნენ, მინდორზე მომკვდარიყვნენ, ჩვენ კი, უბრალოდ, სათამაშოდ გავედით.

ეს ყველაფერში გამოჩნდა. მეტოქემ გვაჯობა რაქებში, დაცვაში თამაშისას, მოძრაობაში. ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუმცა ქართველებმა, პირველ რიგში, განწყობით გვაჯობეს. ბიჭებს ეს მომენტი თავადაც უნდა ეგრძნოთ, თუმცა ვაღიარებ, რომ მწვრთნელის ფაქტორიც დიდია. საერთო ჯამში, პირველი ტაიმი ძალიან ცუდი იყო, მეორეში სიტუაცია გამოვასწორეთ და ზედიზედ 6 დერეფანი მოვიგეთ. შედეგად, მეტოქე იძულებული იყო, ეშმაკობისთვის მიემართა და მინდორზე ძირითადი ჰუკერი დააბრუნეს. ეს ნიშნავს, რომ დიდი პრობლემები შევუქმენით.

ენისეის თავკაცს სურს, რომ შავ ლომს კრასნოიარსკში დაუხვდეს, თუმცა თავადაც ხვდება, რომ ამის შანსი მცირეა.

– რაგბი ევროპას წერილი უკვე მივწერეთ. არადა, ინიციატივას მათგან ველოდით. იყო საუბარი, რომ ჯგუფური ეტაპის შემდეგ უნდა დავმსხდარიყავით და, შედეგებიდან გამომდინარე, მატჩის ჩატარების თარიღი შეგვეთანხმებინა. არსებობდა შანსი, რომ ამ დროისთვის უკვე ყველაფერი გარკვეული ყოფილიყო და ალბათ ასეც იქნებოდა, შავ ლომს ლოკომოტივთან რომ არ წაეგო. ამ შემთხვევაში მატჩის ჩატარება აუცილებელი აღარ იქნებოდა და თანხებიც დაიზოგებოდა. ახლა თამაშს მნიშვნელობა ნამდვილად გაჩნია. პირველ რიგში, ქართველები უნდა ვაიძულოთ, სათამაშოდ რუსეთში ჩამოვიდნენ, თუნდაც ეს არ იყოს კრასნოიარსკში. მეორეც, პრინციპულია მათთან რევანშის აღება. გაითვალისწინეთ, რომ შავი ლომი საკუთარ თავს საქართველოს ეროვნული ნაკრების რეზერვს უწოდებს, ჩვენთან კი ძირითადი შემადგენლობის 8 მორაგბე დააყენეს. ასე რომ, ნამდვილად მძიმე თამაშს ველით.

რაგბი ევროპიდან გვიპასუხეს, რომ მატჩის გამართვის დროზე ქართულ მხარეს თავად უნდა შევუთანხმდეთ, ისინი კი, უბრალოდ, გადაწყვეტილებას დაამტკიცებენ. იმის გათვალისწინებით, რომ სუპერთასის ნახევარფინალები 16-17 აპრილსაა დაგეგმილი, რჩება მარტი. თუმცა თებერვალი და მარტი სანაკრებო თამაშების დროა. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რა იქნება. შავ ლომთან მატჩზეა ისიც დამოკიდებული, ნახევარფინალს სად ჩავატარებთ. თუკი მე-2 ადგილზე გავედით, პორტუგალიაში უნდა წავიდეთ, პირველი პოზიცია კი ესპანელებთან შინ თამაშის საშუალებას იძლევა. სხვათა შორის, რაგბი ევროპას კიდევ ერთხელ გავაცანით ჩვენი პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ მეტოქეები კრასნოიარსკში არ ჩამოვიდნენ და ისინი საკითხის განხილვას დაგვპირდნენ. მომავალი თამაში იმით იქნება კარგი, რომ გუნდებში ფსიქოლოგიური მომენტი არ იარსებებს. 2-ვე გუნდი ხომ ყველა ვარიანტში ნახევარფინალშია გასული. ძალიან საინტერესო მატჩი იქნება, მით უმეტეს, რომ შინ ვითამაშებთ. არ ვფიქრობ, რომ ეს კრასნოიარსკში მოხდება, ალბათ, ისევ სოჭში გაგვიშვებენ.

შეგახსენებთ, რომ შავ ლომს რაგბი ევროპის სუპერთასის აღმოსავლეთ კონფერენციაში 20 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა, ენისეის – 16. თუ ქართულმა გუნდმა რუსებთან სანუგეშო ქულის აღება მაინც მოახერხა, ლიდერობას შეინარჩუნებს და ნახევარფინალში შინ ესპანურ იბერიანსს შეხვდება. ჯგუფში მე-2 ადგილზე გასვლის შემთხვევაში შავ ლომს პორტუგალიაში ლუზიტანოსთან მატჩი ელის.

ზორან მარუშიჩი ეროვნული ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია

დასრულებული ეროვნული ლიგის ტრადიციული დაჯილდოება, პანდემიის შედეგად მიღებული რეალობის გათვალისწინებით, გასული წლის მსგავსად, წელსაც ონლაინრეჟიმში გაიმართა.

გამოვლინდნენ საუკეთესოები სხვადასხვა ნომინაციაში:

ეროვნული ლიგის 2021 წლის სეზონის სიმბოლური გუნდი ასე გამოიყურება:

მეკარე: ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

მცველები: გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე, ირაკლი აზაროვი (ყველა დინამო ბთ), საბა ხვადაგიანი (დინამო თბ);

ნახევარმცველები: სანდრო ალთუნაშვილი, ჯამბულ ჯიღაური (ორივე დინამო ბთ), ნიკა გაგნიძე, ირაკლი ბიძინაშვილი (ორივე დილა)

თავდამსხმელები: გიორგი ფანცულაია (დინამო ბთ), ზორან მარუშიჩი (დინამო თბ)

სეზონის საუკეთესო მეკარე ბათუმის დინამოელი ლაზარე კუპატაძე გახდა. ნომინაციაში ასევე წარდგენილნი იყვნენ ლუკა გუგეშაშვილი (დილა), ოთო გოშაძე (საბურთალო);

საუკეთესო მცველის ნომინაციაში ბათუმელმა ირაკლი აზაროვმა თანაგუნდელებს – მამუკა კობახიძესა და ოლეკსანდრ აზაცკის აჯობა.

სეზონის საუკეთესო ნახევარმცველიც ბათუმელია – სანდრო ალთუნაშვილი, რომელსაც კონკურენციას ირაკლი ბიძინაშვილი და ჯამბულ ჯიღაური უწევდნენ.

საუკეთესო თავდამსხმელი თბილისის დინამოს შემტევი ზორან მარუშიჩი გახდა. ნომინაციაში ასევე წარდგენილნი იყვნენ გიორგი ფანცულაია და სერგო კუხიანიძე (სამგურალი).

მარუშიჩი სეზონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა 16 გატანილი გოლით და პლუს ამას საუკეთესო ლეგიონერის ტიტულიც ირგუნა, რომელსაც კონკურენტებად უსმანე კამარა (დილა) და ბენჟამინ ტეიდი (დინამო ბთ) ჰყავდა.

ეროვნული ლიგის 2021 წლის სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გია გეგუჩაძე გახდა. ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ გორის დილას თავკაცი ანდრეი დემჩენკო და ან უკვე თელავის დამრიგებელი გიორგი მიქაძე.

მარუშიჩი გახდა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელიც, სადაც კონკურენციას ჯიღაური და აზაროვი უწევდნენ.

საფეხბურთო ფენტეზის გამარჯვებულები გახდნენ: პირველი ადგილი – გიორგი რთველიაშვილი (3.000 ლარი), მე-2 ადგილი – შალვა ღონღაძე (2.000), მე-3 ადგილი – მიშა მაზაშვილი (1.000).

ჩემი პროგნოზის გამარჯვებული კი დავით პაიჭაძეა.

ლევან კობიაშვილი:

– დასრულდა ეროვნული ჩემპიონატის 2021 წლის სეზონი, რომელიც ნამდვილად გამოირჩეოდა საფეხბურთო გარემოთი.

წელს უამრავი საინტერესო და დაძაბული მატჩი, ლამაზი გოლი და დაუვიწყარი საფეხბურთო სანახაობა ვიხილეთ.

ამისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო კრისტალბეთ ეროვნული ლიგის მონაწილე თითოეულ კლუბს, ფეხბურთელს, მწვრთნელსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ფეხბურთის მოყვარულებს უდიდეს სიხარულსა და საფეხბურთო ემოციებს ანიჭებდნენ.

განსაკუთრებული მადლობა ერთგულ გულშემატკივარს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ამხნევებდა და გვერდით ედგა საყვარელ კლუბს.

ბათუმის დინამოს ვულოცავ ისტორიაში პირველად ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას, ბოლნისის სიონს ლიგა 2-ში პირველი ადგილის დაკავებასა და ეროვნულ ლიგაში დაწინაურებას, საფეხბურთო კლუბ გაგრას კი, 10-წლიანი პაუზის შემდეგ, მთავარ საფეხბურთო ლიგაში დაბრუნებას.

მინდა, წარმატება ვუსურვო ჩვენს კლუბებს ევროსარბიელზე. 2022 წელს კი მჯერა, რომ თქვენი ყველას ჩართულობით კიდევ უფრო დაუვიწყარი სეზონი გველოდება.

ლივერპულისა და სალაჰის ურთიერთობა ჩიხში შედის

ეგვიპტის ნაკრებისა და ლივერპულის მთავარ ვარსკვლავს, მო სალაჰს, კლუბთან არსებული ხელშეკრულება 2023 წლის ზაფხულში ეწურება. ბუნებრივია, მერსისაიდულ გრანდს მისი შენარჩუნება უნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობა ყველა დათმობაზე წასვლას არ გეგმავს.

უკვე დიდი ხანია, გუნდს ვესტ ჰემის ფეხბურთელ ჯარედ ბოუენს უკავშირებენ. ბრიტანული პრესა წერს, რომ ამით ხელმძღვანელობას სურს, ეგვიპტელ ვარსკვლავს დაანახოს, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი ჩანაცვლება შეუძლია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლონდონის ჩელსის ყოფილმა ფეხბურთელმა ტონი კასკარინომ ისაუბრა:

– ვფიქრობ, ლივერპული დიდ შეცდომას დაუშვებს, თუ მო სალაჰს კონტრაქტში ნებისმიერ პუნქტს ჩაუდებს, რომელიც ეგვიპტელს სურს. ეს საშინელი იდეაა. ფეხბურთელს გუნდში თამაშის სურვილი უნდა ჰქონდეს, კლუბი უნდა უყვარდეს და მას ყველაფერს აძლევდეს.

არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ლივერპულმა სალაჰს ნებისმიერი მოთხოვნა უნდა დაუკმაყოფილოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

27 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰიემიეჩიგა

ნიუკასლი-მანჩესტერი	1:1

სატუნინიო ცხრილი:

1.სიტი	19	15	2	2	50-12	47
2.ლივერპული	18	12	5	1	50-15	41
3.ჩელსი	19	12	5	2	42-13	41
4.არსენალი	19	11	2	6	32-23	35
5.ვესტ ჰემი	18	8	4	6	30-24	28
6.ტოტენჰემი	16	9	2	5	21-19	29
7.მანჩესტერი	17	8	4	5	27-25	28
8.ვულვზი	18	7	4	7	13-14	25
9.ბრაიტონი	17	5	8	4	16-17	23
10.ლესტერი	17	6	4	7	30-33	22
11.ასტონ ვილა	18	7	1	10	24-28	22
12.კრ.პალასი	18	4	8	6	24-27	20
13.ბრენტფორდი	17	5	5	7	21-24	20
14.საუთჰემტონი	18	4	8	6	19-28	20
15.ევერტონი	17	5	4	8	21-29	19
16.ლიდსი	18	3	7	8	18-36	16
17.უოტფორდი	16	4	1	11	21-31	13
18.ბარნლი	15	1	8	6	14-21	11
19.ნიუკასლი	19	1	8	9	19-42	11
20.ნორვიჩი	18	2	4	12	8-39	10

ინგლისი. ჩემპიონიგა

დერბი-ვესტ ბრომვიჩი	1:0
ქპრ-ბორნმუთი	0:1

ბელგია. ა დივიზიონი

მეხელენი-სერენი	2:0
შარლერუა-ლეუვენი	0:3
ბეერსხოტი-ანდერლეხტი	0:7
სტ.ტრუიდენი-ეუპენი	2:0

თუქქეთი. სუპეჩიგა

ქაისერი-სივასი	3:0
ქონია-ბეშიქთაში	1:0

ჰალანდის მსურველები გამოიკვეთნენ

დორტმუნდის ბორუსიის ნორვეგიელი ამომავალი ვარსკვლავის, ერლინგ ჰალანდისთვის ბრძოლაში 3 მთავარი კანდიდატი გამოვლინდა.

ესპანური მედიის ცნობით, სკანდინავიელი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნაიტედი და მადრიდის რეალი იბრძოლებენ.

3-ვე კლუბი მზადაა, ნორვეგიელის შესაძენად 75 მილიონი ევრო გამოყოს. სწორედ ამ თანხით შეუძლიათ ერლინგის შეძენა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს, თუმცა უცნობია, ეს თანხა სადამდე გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელი თავდამსხმელი დორტმუნდი 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ ზალცბურგიდან გადავიდა. მისი კონტრაქტი გერმანელებთან 2024 წლის ზაფხულამდეა გათვლილი.

მიმდინარე სეზონში ჰალანდის აქტივს მშვენიერი სტატისტიკა ამშვენებს – ბუნდესლიგაში ჩატარებულ 11 მატჩში 13 გოლი და 4 საგოლე პასი.

სამგლოვიარო განცხადებები

სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, ლიანა ზამთარაიას, მეუღლის

რევაზ ქარდავას

გარდაცვალების გამო.

რევაზი თვალსაჩინო პიროვნება და წალენჯიხისა და სოფელ საჩინოს გამორჩეული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო.

იგი დიდი დანაკლისია მშობლიური კუთხისთვის.

კოლეგები და თანაკურსელები სოხუმიდან
რეზო ქარდავა და დავით შონია

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ფიჯის დედაქალაქი; 7. ბერძნული ცეკვა; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. უბანი ქუთაისში; 13. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ფულის ერთეული ინდოეთში.

თარაზულად: 1. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი: 3. ესპანური ღვინო; 8. ფართო წარმომადგენლობითი საერთაშორისო კრება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 15. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 23. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 25. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 26. ფრანგი მეზღაპრე; 27. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დამამთავრებელი ნაწილი; 28. ბავშვთა დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვერდილიო; 2. ეტალონი; 3. ალილო; 4. ზაგრები; 5. მერჩულე; 10. სოლოლაკი; 11. ქსენოფობია; 12. ამფიბია; 15. მოდულაცია; 16. ბიონსე;. 17. ფიდელიო; 20. ვეკუა.

თარაზულად: 6. ბერიტაშვილი; 7. კაიზერი; 8. პრომილე; 9. ალკენი; 13. პერო; 14. ესკიმო; 18. ვილსდორფი; 19. ჰიუგო; 21. ცერნი; 22. ელბსი; 23. ქონდაქარი; 24. კვარიათი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გემა; 2. გნოლი; 3. ბეილი; 5. იანუსი; 6. ლაგოდეხი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერო; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. როსინი; 18. ლიდა.

თარაზულად: 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. სოპოტი; 8. ლიეტუვა; 12. სტუკო; 13. ჟუდეცი; 15. ბოჟოლე; 17. ალი; 19. გვერდწითელი; 20. დინგო; 21. დალესი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0899

ევრო — 3.5009

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1559

100 რუსული რუბლი — 4.1986

ამინდის პროგნოზი 29 დეკემბრისათვის

ფერან ტორესი ბარსელონის ფეხბურთელი გახდება

მანჩესტერ სიტის ახალგაზრდა, 21 წლის შემტევი ფერან ტორესი იანვარში ბარსელონის ფეხბურთელი გახდება და უკვე მიაღწია შეთანხმებას კატალონიურ გუნდთან. ჯერჯერობით უცნობია ტრანსფერის დეტალები, თუმცა ფაქტია, რომ ფერანი ბარსელონას გააძლიერებს.

ხავის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ფერან ტორესის გადაბირება იყო.

რალფ რანგნიკი: „ნიუკასლთან კარგი თამაში არ გვიჩვენებია“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი რალფ რანგნიკი ნიუკასლთან მატჩის შემდეგ კმაყოფილი არ იყო. მისი აზრით, იუნაიტედმა ცუდად ითამაშა, განსაკუთრებით ეს მეორე ტაიმს ეხება:

– ნიუკასლმა საკმაოდ შექმნა მომენტები და, შეიძლება ითქვას, ჩვენ გაგვიმართლა, რომ არ წავაგეთ. მომავალში ჩემი გუნდისგან უკეთეს თამაშს ველი. მეორე ტაიმში მეტოქემ გვაჯობა.

რუდიგერი, შესაძლოა, რეალის ფეხბურთელი გახდეს

ჩელსის ცენტრალური მცველი ანტონიო რუდიგერი იანვარში თავისუფალი აგენტი გახდება და ის ახალ გუნდს ეძებს, რადგან ჩელსიში რუდიგერი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

რუდიგერის შემდეგი გუნდი მადრიდის რეალი იქნება, სადაც გერმანელი ცენტრალური მცველი 3 წელიწადს გაატარებს.

რუდიგერს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, სექსბომბას ვგავარ?
– უფრო – სექსმაშხალას.
– ეგ როგორ?
– დიდ ხმაურს იწვევ, თუმცა სანახავი მაინცადამაინც ბევრი არაფერია.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:
– შუა საუკუნეებში რომ ყოფილიყავი, კოცონზე დაგწვავდნენ, ძვირფასო...
– რა, ჯადოქარი ვარ?
– არა, ხის მორი!

●●●

ქალი კაცს ეუბნება:
– რაღაცას გკითხავ და მიპასუხე დიახ ან არა. კარგი?
– კარგი, მკითხე.
– რატომ დასცინიან მამაკაცები ქერათმიან ქალებს?
– დიახ.

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:
– აი თქვენ მეუბნებით, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვრო, ასეა ხომ?
– დიახ!
– მე კი გეტყვით, რომ პაპაჩემი, მთელი ცხოვრება სვამდა, სიგარეტს პირიდან არ იღებდა, იმდენ ქალებთანაა ნამყოფი, რომ ათ კაცს ეყოფოდა. 90 წლამდე მიაღწია და ახლაც ყოჩაღადაა. მისი ტყუპისცალი კი მხოლოდ რძეს სვამდა, მოწევაზე არც არასოდეს უფიქრია, ქალებთან საერთოდ არ ყოფილა და სამი თვის გარდაიცვალა. აი ასე!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– როდესაც ახლად დაქორწინებულები ვიყავით, შენ შენთვის პატარა ნაჭრებს ილაგებდი, მე კი დიდებს მიტოვებდი.
– მერე?
– ახლა კი პირიქით ხდება და მითხარი, აღარ გიყვარვარ?
– არაფერია ძვირფასო, უბრალოდ, ახლა გაცილებით უკეთ ამზადებ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დემნა გვასალია საფრანგეთის მაღალი მოდის ფედერაციამ გააბრაზა

ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია საფრანგეთის მაღალი მოდის ფედერაციამ გააბრაზა. ამის შესახებ დიზაინერმა ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან ისაუბრა:

– ფედერაციას – საფრანგეთის მაღალი მოდის ფედერაცია, რომელიც ფრანგულ მოდას განაგებს – არც კი უნდოდა ჩვენი ოტ კუტიურ მოდის კვირეულში ყოფნა, რადგან წელიწადში ორ ჩვენებას არ ვმართავთ. ეს იდიოტები. ისეთი გაბრაზებული ვარ მათზე, ვუპასუხე, როგორ ბედავთ და თავს გვახვევთ მე-18 საუკუნის წესებს?

– არის კოლექცია, რომლის შექმნაც ჯერ ადრეა?

– კავკასიაში კრიმინალურ სამყაროს ძალიან განსხვავებული ესთეტიკა ჰქონდა. შემიძლია, კოლექცია გავაკეთო, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ, არ ვარ დარწმუნებული, დასავლეთში როგორ მიიღებენ.

– რა შეიძლება გახდეს თქვენთვის ახალი კოლექციის შექმნის შთაგონების წყარო?

– ციურიხის ქუჩებში მოსრიალე ბავშვები ვნახე. მათ ისე ეცვათ, როგორც მე 15, 20 წლის წინ, სილუეტის კონტური, რაც ძალიან სპეციფიკურია ჩემთვის. ამ ბავშვებს ჩემი კოლექცია არც ეცვათ, ბრენდული სამოსი საერთოდ არ იყო.

დღეს ეს მოდაც აღარ არის, თაობის სტილი გახდა. რაღაც ისეთი შევიტანე მასაში, რაც უკვე მარტო ჩემი აღარც არის, მაგრამ გარშემოა და ნამდვილია, ცოცხლობს ამ ბავშვებზე. ეს მართლა მაძლევს მოტივაციას, რომ კიდევ უფრო შორს წავიდე.

– იცით, რას ამბობენ მსოფლიო ვარსკვლავები თქვენს სამოსზე?

– „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია „ბალენსიაგას წელი“, სადაც კიმ კარდაშიანი ამბობს: „როდესაც დემნას სამოსი მაცვია, თავს მაგრად ვგრძნობ. რაც არ უნდა ჩავიცვა, ყველაფერი კარგად იქნება, რადგან მისი შექმნილია და ის ყველაზე მაგარია“.

– ადრე საჯარო ღონისძიებებზე არ ჩნდებოდით. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?

– კომფორტის ზონაში შევედი და ამიტომ გადავწყვიტე საჯარო ღონისძიებებზე გამოჩენა. თუმცა მეტ გალა იყო ჩემი კომფორტის ზონის საპირისპირო. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სხვა პლანეტაზე. ნიღაბი ფარივით მქონდა, შემეძლო, თავი მომეჩვენებინა, რომ იქ მე სულაც არ ვიყავი, ისეთ დისკომფორტს ვგრძნობდი. ბევრს ვერაფერს ვხედავდი და ამიტომ ნაკლებადაც ვღელავდი. ნიღაბი დამეხმარა, რომ მეტ გალას გადავურჩი. ბავშვობიდან ძალიან ასოციალური ვარ.

– მოდაში თქვენი პირველი ნაბიჯები როგორ გახსენდებათ?

– როდესაც ბელგიაში ჩავედი, მოდის შესახებ არაფერი ვიცოდი. ღმერთო ჩემო, ანტვერპენის ექვსეული გაგონილიც არ მქონდა.

აკადემიაში მისაღები გასაუბრება ვალტერ ვან ბეირენდონქმა ჩამიტარა და მე ის ვერ ვიცანი. წარმოგიდგენიათ?!

– არის თქვენს კოლექციებში ბელგიური გავლენა?

– რა თქმა უნდა, ჩემს ყველა კოლექციაში არის ბელგიური გავლენა. მოდაში ყველაფერი ბელგიელებმა მასწავლეს. ამის აღიარების არ მრცხვენია.

– ვინ არის თქვენთვის მარტინ მარჯიელა?

– ჩემთვის მარტინ მარჯიელა მეტია, ვიდრე პიროვნება. მარჯიელა მოდის ენაა, რომელზეც ვსაუბრობ.

– მას შემდეგ, რაც პოპულარული გახდით, შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება მოდისადმი?

– მოდისადმი ჩემი დამოკიდებულება არ შეცვლილა – ტანსაცმლის შექმნა 8 წლიდან მიყვარს. მოდასთან ყველაზე ხანგრძლივი სიყვარულის ისტორია მაკავშირებს, რომლისაც ძალიან ერთგული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ გული ბევრჯერ მატკინა.

– რა არის დემნას მიზანი?

– ჩემი მიზანი არ არის ახლის ან ზღაპრულად ლამაზის შექმნა. მე უკვე არსებულ სამოსზე ვმუშაობ. მთავარი გამოწვევა ეს არის. ადამიანებს უნდა შევთავაზო ის, რაც უკვე ნანახი აქვთ, მაგრამ ისე, რომ მათში მაინც გაჩნდეს ახალი გრძნობები და ემოციები.

– ვინ არის ვარსკვლავი, რომელთან თანამშრომლობასაც გეგმავთ?

– შადე. მისი შემოქმედება ჩემი ცხოვრების საუნდტრეკია.

– ზოგადად როგორ გაჩნდა ვარსკვლავებთან თანამშრომლობის იდეა?

– ვარსკვლავებთან თანამშრომლობა ბუნებრივად მოხდა. მათ ვაცმევ, ვისაც ვიცნობ, ვისთანაც ვმეგობრობ და ვინც მომწონს. განსაკუთრებული სტრატეგია არ არსებობს.

– კიდევ გამოჩნდებით ნიღბით?

– არა, საკმაოდ რთული იყო. მე და კიმ კარდაშიანი ვერაფერს ვხედავდით, მხოლოდ სილუეტებს ვარჩევდით.

– როგორია ახლა თქვენი მენტალური მდგომარეობა?

– ახლა უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე 5 წლის წინ ვიყავი.

– რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიო აღიარება?

– ყოველთვის მეგონა, რომ არავის აღიარება არ მჭირდება, მაგრამ, როდესაც ოტ კუტიურ შოუს შემდეგ წერილები წავიკითხე, სიმშვიდე ვიგრძენი.

– თქვენ ცოტა ხნის წინ გვარზე უარი თქვით და დემნა გვასალიას ნაცვლად ახლა ყველასთვის, უბრალოდ, დემნა ხართ...

– ძალიან გამიმართლა, რომ ექსტრაორდინარული სახელი მაქვს. 20 წელია, დასავლეთში ვცხოვრობ და ერთადერთი დემნა ვარ, რომლის შესახებაც სმენიათ. ჩემი გვარი ეკუთვნის ჩემს ოჯახს, ჩემი სახელი – ჩემს შემოქმედებას. ჩემთვის ლოგიკური იყო პირადისა და საქმის განცალკევება.

– თქვენს მეუღლეზე რას გვეტყვით?

– პარიზიდან ლონდონში ჩავედი, რომ მენახა. მანამდე თვეები ონლაინ ველაპარაკებოდი და ვგრძნობდი, რომ ის განსაკუთრებულია.

– ციურიხში ცხოვრება მოგწონთ?

– სინამდვილეში, ციურიხში არ ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი სოფელი, სადაც ახლა ვცხოვრობ, ციურიხთან ახლოს არის.

– გყავთ ადამიანი, რომელსაც აღმერთებთ?

– დიახ, დედაჩემი.

– ახალ პროექტებზე საუბარი უკვე შეგიძლიათ?

– ახლა რამდენიმე პროექტზე ვმუშაობ. მათ შორისაა სახლის ნივთების ხაზი – გადასაფარებლები, ხალიჩები, ვაზები და ა.შ. ამ ხაზს 2022 წელს იხილავთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გოგონამ მამაკაცს მჟავას შესხმა აპატია და ცოლად გაჰყვა

თურქეთში 20 წლის გოგონამ მამაკაცს, რომელმაც ორი წლის წინ მას მჟავა შეასხა, ეს საქციელი აპატია და ცოლად გაჰყვა. აღსანიშნავია, რომ ამ თავდასხმის შედეგად ბერფინ ოზეკმა კინაღამ მხედველობა დაკარგა.

23 წლის კაზიმ ოზინ სელტიკმა 2019 წელს შეყვარებულს მჟავა მათი დაშორების შემდეგ შეასხა. თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე მამაკაცმა გოგონას უთხრა, რომ ვინაიდან ის მისი არ იქნებოდა, მაშინ ვერც სხვისი გახდებოდა. ოზეკი გადარჩა და მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადა. მაშინ სელტიკი დაატაპტიმრეს, რის შემდეგაც ის გოგონას გამუდმებით სწერდა და პატიებას სთხოვდა. დაზარალებულმა ერთ მომენტში განცხადებაც კი გამოიტანა, რის არგუმენტადაც ის მოიყვანა, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ და თავს უხერხულად გრძნობდა, რომ მის გამო მამაკაცი პატიმრობაში იმყოფებოდა.

მიუხედავად მცდელობისა, რომ სელტიკისთვის თავიდან აერიდებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მას 13 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო კანონში შეტანილი ცვლილებებით ახალგაზრდა მამაკაცს საპატიმროდან ვადაზე ადრე პირობითი სასჯელით გათავისუფლების საშუალება მიეცა.

გათავისუფლების შემდეგ სელტიკმა ოზეკს ხელი სთხოვა და გოგონამ თანხმობით უპასუხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 დეკემბრისათვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღებლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. სამკურნალო დაწესებულება; 2. აეროპორტი ნიუ იორკში; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბილისში; 4. ტყავის დამუშავების ოსტატი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონიაში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 13. პირველი ქართული სახოტბო პოეზიის ჟანრის ნაწარმოების „აბდულმესიანის“ ავტორი; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. ჩასაბერი ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 18. წამლის დამზადების ერთ-ერთი ფორმა; 19. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

თარაზულად: 6. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 8. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის ქართული ჯიში; 9. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 10. შტატი აშშ-ში; 12. მიქელანჯელოს ქანდაკება; 14. პატარა ფლეიტა; 17. დაბანდებული კაპიტალის მოგებიდან მიღებული თანხა; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. მდინარე ზუგდიდში; 22. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი მექანიკოსი; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე აღგეთის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა